



CULTURAL  
**DIVERSITY**  
 IN GEORGIA



## რეკომენდაციები

იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის

მრავალფეროვნების და მემკვიდრეობის შესახებ

კონვენციის რეკომენდაციებისათვის

თბილისი  
 2015

ვალ. გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი (YTA UNION) – OISTAT საქართველოს ნაციონალური ცენტრი.

**დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფი**

ნინო გუნია-კუზნეცოვა

მაია ნიკოლაიშვილი

ანანო ასათიანი

თამარ გურჩიანი

**დოკუმენტის მომზადება დაფინანსებულია იუნესკოს 2014-2015 წწ. „მონაწილეობის პროგრამის“ მიერ.**

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ვალ. გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი (YTA UNION) - OISTAT საქართველოს ნაციონალური ცენტრი.

იუნესკო არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე რეკომენდაციებში გამოთქმულ მოსაზრებებზე.

# სარჩევი

<b>I ნაწილი - შესავალი</b>	<b>5</b>
<b>II ნაწილი</b>	<b>8</b>
<b>პრობლემები და რეკომენდაციები</b>	<b>8</b>
<b>თავი 1. სახელმწიფო კულტურის პოლიტიკა</b>	<b>8</b>
1. მიმართულება - კანონმდებლობა	8
2. მიმართულება - ეკონომიკური განვითარება	9
3. მიმართულება - მენეჯმენტი	12
4. მიმართულება - მონიტორინგი, ხარისხის კონტროლი	14
5. მიმართულება - პრიორიტეტების და კრიტერიუმების ურთიერთმიმართება კვალიფიკაციასა და ღიაობასთან	16
<b>თავი 2. კვალიფიკაცია და პასუხისმგებლობა</b>	<b>17</b>
6. მიმართულება - განათლება და პროფესიონალიზაცია	17
7. მიმართულება - კულტურული პროცესის კვლევა და დოკუმენტირება	18
<b>თავი 3. კულტურული პრაქტიკა</b>	<b>20</b>
8. მიმართულება - ენობრივი მრავალფეროვნების პოპულარიზაცია და განვითარება	20
9. მიმართულება - მედია და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნება	22
10. მიმართულება - კულტურული ინდუსტრიის განვითარება	25
<b>თავი 4 - დემოკრატიული განვითარება</b>	<b>26</b>
11. მიმართულება - ხელმისაწვდომობა, მდგრადობა	27
12. მიმართულება - კომუნიკაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა/ინფორმირებულობა	27
13. მიმართულება - დეცენტრალიზაცია	29
14. მიმართულება - სამოქალაქო და კულტურული ინტეგრაცია	30
<b>თავი 5. გლობალურისა და ლოკალურის ბალანსი</b>	<b>34</b>
15. მიმართულება - საერთაშორისო ურთიერთობები	35
16. მიმართულება - ხელოვანთა მობილობა და კულტურული პროდუქტის თავისუფალი გადაადგილებისა და მიმოქცევის საკითხები	36
17. მიმართულება - ინფორმაციის, გამოცდილებისა და ცოდნის გაცვლა და ექსპერტული გამოცდილების გაზიარება	37
18. დანართი I. დოკუმენტის შემუშავების მეთოდოლოგია	39
19. დანართი II. გამოყენებული მასალა	44

დოკუმენტი წარმოადგენს ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირის პროექტის - „მრავალფეროვანი საქართველო“ - სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა კულტურული მრავალფეროვნების ფორმირებისათვის - „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციის იმპლემენტაციისათვის არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების“ - ფარგლებში ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგს.

პროექტი განხორციელდა პარტნიორ ორგანიზაცია „ეროპის სახლთან“ მჭიდრო თანამშრომლობით.

დოკუმენტი შემუშავდა კულტურის პოლიტიკის ექსპერტების მიერ. ინტეგრირებული კვლევა მიმდინარეობდა მრგვალი მაგიდების, ფოკუსური ჯგუფების და ჩადრმავებული ინტერვიუების მეთოდით დედაქალაქსა და რეგიონებში, ასევე საერთაშორისო და ქართული დოკუმენტებისა და სამეცნიერო მასალის ანალიზის საფუძველზე.

გაიმართა 11 შეხვედრა - 5 თბილისში და 6 რეგიონებში, კერძოდ კი ქალაქებში: თელავი, ქუთაისი, ახალციხე, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი და მოიცვა არასამთავრობო, სამთავრობო, კერძო სექტორისა და მედიის 100-ზე მეტი წარმომადგენელი.

კვლევა მიმართული იყო კონვენციის იმპლემენტაციის კონტექსტში კულტურის პოლიტიკის საჭიროებების გამოვლენაზე და სიტუაციის ადეკვატური, კონკრეტული და განხორციელებადი რეკომენდაციების პაკეტის შექმნაზე.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული არსებული ვითარების აღწერა მთლიანად ეფუძნება გამოკითხვის შედეგებს. რეკომენდაციების მიზნები და სამოქმედო მიმართულებები შემუშავებულია რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტების შესაბამისად. მაგალითად, კულტურული პრაქტიკის თავი მოიცავს არა კულტურული თვითგამოხატვის ყველა არსებულ ფორმას, არამედ ყველაზე უფრო სენსიტიურ მიმართულებებს: ენას, მედიას და კულტურულ ინდუსტრიებს. თანამედროვე კომუნიკაციური კულტურის რაობიდან გამომდინარე ლოგიკურია, რომ კვლევის შედეგად კულტურული პრაქტიკებიდან მთავარ მიმართულებად გამოიკვეთა სწორედ ეს კომუნიკაციური სფეროები.

პროექტში ჩართული იყო ქვეკონტრაქტორი ორგანიზაცია „ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაცია“.

რეგიონებში მნიშვნელოვანი თანადგომა გავიწვია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებმა.

რეკომენდაციების წინამდებარე დოკუმენტის შექმნაში მიღებული მონაწილეობისათვის მადლობას ვუხდით მრგვალი მაგიდებისა და ფოკუსური ჯგუფების ყველა მონაწილეს.

# I ნაწილი

## შესავალი

კულტურის პოლიტიკის მსოფლიო სტანდარტების ფორმირებაში წამყვან როლს ორი საერთაშორისო ორგანიზაცია ასრულებს: იუნესკო და ევროპის საბჭო. ისინი ამკვიდრებს კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობის გაცნობიერებისა და კულტურის მოხმარებისა და მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

საქართველო მიერთებულია იუნესკოს სხვადასხვა კონვენციებს, მათ შორის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ კონვენციას“ (პარიზი, 2005 წ.), რომელიც საქართველოში ძალაში შევიდა 2008 წლის 1 ოქტომბერს.

იუნესკოს კონვენციათაგან 2005 წლის პარიზის კონვენცია საერთაშორისო კულტურის პოლიტიკის ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც ხელს უწყობს თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის სფეროში წარმოების პროცესებს და შესაბამისი მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გამყარებას. ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საწყის ეტაპზე მყოფი საქართველოსთვის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციის იმპლემენტაცია და მასზე დაფუძნებული კულტურის პოლიტიკის შემუშავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეს ფუძემდებლური კონვენცია ერთდროულად მიზნად ისახავს თვითგანვითარებისა და დემოკრატიული თვითმმართველობის გაძლიერებას და გლობალურ ბაზარზე არსებული დისბალანსის დაძლევას. ამისათვის სხვა ინსტრუმენტებთან ერთად კოპროდუქციის, დისტრიბუციისა და ცოდნის სფეროებში პარტნიორობის, განვითარებადი ქვეყნებისათვის პრეფერენციული (შეღავათიანი) რეჟიმისა და ხელოვანთა მზარდი მობილობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა გამოიყენება. კონვენციის განმასხვავებელი ნიშანია განხორციელების პროცესში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) რეგულაციებსა და საერთაშორისო სამართლის გაეროს ინსტრუმენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინების აუცილებლობა.

საქართველომ კონვენციასთან მიერთებით აიღო პასუხისმგებლობა ინფორმაციის გაცვლაზე და ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ კონვენციის განხორციელების შესახებ ანგარიშის მომზადების თაობაზე. 2012 წელს ვერ მოხერხდა ამგვარი ანგარიშის მომზადება, რაც ნაწილობრივ სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობითაც იყო განპირობებული.

კონვენციის იმპლემენტაციისათვის რეკომენდაციების წინამდებარე დოკუმენტის შექმნის მიზანია, გამოიკვეთოს კულტურის პოლიტიკისადმი ახალი მიდგომები და შეიქმნას წინაპირობა გაუმჯობესებული თანამშრომლობისთვის სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორებს შორის და თანამშრომლობის შედეგად შემუშავდეს კულტურის პოლიტიკის გაუმჯობესებული მოდელი.

ამდენად, დოკუმენტი წარმოადგენს კულტურის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვან შენატანს 2016 წელს წარსადგენი ანგარიშისთვის, ასევე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავების პროცესში მყოფი საქართველოს კულტურის სტრატეგიისთვის - „კულტურა 2025“ და ასოცირების შეთანხმების კულტურის სეგმენტების გაცნობიერება-განხორციელებისთვის.

კონვენციის იმპლემენტაციაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ორი დონე:

1. საქართველოს კულტურის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ყველა იმ დაინტერესებულ მხარეს, რომლებსაც აკისრიათ კონკრეტული პასუხისმგებლობა და/ან გააჩნიათ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და კონკრეტული მოქმედების უნარი, ესენია: ცენტრალური მთავრობა და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები, მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები.
2. საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, რომელიც ისწრაფვის ევროკავშირის წევრობისკენ, არის 2005 წლის კონვენციის მონაწილე მხარე და ასოცირების შეთანხმების ხელმძღვანელი, რომელიც მოიცავს:
  - კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც გულისხმობს:
    - კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგის წარმოებას;
    - კულტურული მრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობას;
    - ხელოვნებისა და ხელოვანების მობილობის მხარდაჭერას;
    - ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და სათანადოდ დაცვას.
  - ასევე სხვა მომიჯნავე სფეროების განვითარებას:
    - განათლების ხარისხის ამაღლებას;
    - აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას;
    - ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას;
    - ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას.

წინამდებარე რეკომენდაციების მოქმედების ორი დონე:

1. სამთავრობო დონე - ცენტრალური ხელისუფლება, ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამთავრობო უწყებები, მუნიციპალური ხელისუფლება (მერიები და გამგეობები).  
სამოქალაქო საზოგადოება - არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტული საზოგადოების წევრები, კულტურის სფეროსა და ხელოვნების წარმომადგენლები, კერძო სექტორი და მედია.

ამ პასუხისმგებლობისა და მოქმედების დონეების გათვალისწინებით საქართველომ უნდა მოახდინოს თავისი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, რათა თავისუფალი, ღია და კრეატიული გზით უზრუნველყოს ცოცხალი კულტურის შექმნა, კულტურის მემკვიდრეობის დაცვა და შენახვა, კულტურის გავრცელება და ანიმაცია და საზოგადოების ყველა ფენისათვის კულტურის ხელმისაწვდომობა. სახელმწიფოს და საზოგადოების ერთობლივი მიზანია კულტურასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებს შორის ურთიერთკავშირის ხელშეწყობა და ამით შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება ეკონომიკაში, კვლევასა და განათლებაში, დონორების მოტივირება და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება გლობალურ გარემოში.

სამოქალაქო სექტორის მიერ აღებული პასუხისმგებლობა, რომელიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კოოპერატიული მიდგომის წახალისებაში მდგომარეობს, ცენტრალური მთავრობისა და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოების განსაკუთრებულ მხარდაჭერას მოითხოვს. საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებაში საქართველოს სწრაფვა ევროპულ ოჯახთან კულტურული ერთობისკენ და მომავალი კონკურენტუნარიანობისკენ შემდეგ დებულებებს უნდა ეფუძნებოდეს:

- საქართველოს შეუძლია და უნდა გამოიყენოს თავისი კავშირი ევროპულსა და გლობალურ გარემოსთან საკუთარი კულტურული ტრადიციისა და გეოგრაფიული მდებარეობის საშუალებით;
- საქართველოს კულტურა არის სფერო, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ განვითარებაში;

- საქართველოში კულტურული წარმოებისა და კულტურული ღირებულებების გამოყენების სივრცე უნდა იყოს ღია და ხელმწისაწვდომი ყველასთვის;

- საქართველოს მთავრობის (ცენტრალურის, ავტონომიურის, მუნიციპალურის) ამოცანაა არა მარტო საკუთრივ კულტურისა და მისი ინსტიტუციების მხარდაჭერა, არამედ მათი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებთან დაკავშირება და კომფორტული გარემოს შექმნა კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნებისთვის.

შესაბამისად, სახელმწიფოს და საზოგადოების ერთობლივი ქმედებები მიმართული უნდა იყოს შემდეგზე:

- სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სინერგია სუვერენიტეტის პრინციპზე დამყარებული კულტურის პოლიტიკის გასატარებლად;
- განათლებული საზოგადოების პროფესიული პასუხისმგებლობა მომავალი თაობების კეთილდღეობისა და ქვეყნის კულტურული იდენტობის შესანარჩუნებლად;
- კულტურული განვითარების სტრატეგიების მდგრადობის კავშირი კულტურათა თანასწორი ღირსებისა და პატივისცემის პრინციპის აღიარებასთან;
- სუვერენიტეტის პრინციპზე დამყარებული კულტურის პოლიტიკის წარმოებით ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და კულტურის დემოკრატიზაცია ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე;
- პრეფერენციული რეჟიმის გამოყენებით საერთაშორისო სოლიდარობასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული ეფექტური საგარეო პოლიტიკა.

დოკუმენტი განკუთვნილია გარდამავალი 2016-2020 წწ. პერიოდისთვის.

## II ნაწილი

### რეკომენდაციები

#### თავი 1. სახელმწიფო კულტურის პოლიტიკა

მიზანი 1: სუვერენიტეტის პრინციპებზე დაფუძნებული კულტურის პოლიტიკის წარმოება კულტურისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიების განხორციელებით.

##### 1. მიმართულება -კანონმდებლობა

###### არსებული მდგომარეობა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა კულტურის სფეროში უკვე ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, განსაკუთრებით 2005 წლის კონვენციის ზოგიერთ კომპონენტთან მიმართებაში. შესაბამისად, კონვენციის მიზნების განსახორციელებლად საკანონმდებლო ველი დასახვეწია.

მოქმედი კანონებიდან განახლებას საჭიროებს კანონები „კულტურის შესახებ“, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“, „პროფესიული თეატრების შესახებ“, „უმალესი განათლების შესახებ“. გარდა ამისა, გადასახედია სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც ნაწილობრივ არეგულირებს კულტურის სფეროს.

კონვენციის იმპლემენტაციის კონტექსტში განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა:

- დონორობისა და ფილანტროპიის სფეროს საკანონმდებლო ბაზის არქონა;
- თავისუფალი ხელოვანის სტატუსის არარსებობა (რაც გულისხმობს ხელოვანებისთვის შეღავათების სისტემის არსებობას);
- დეკლარირებული დეცენტრალიზაციის სტრატეგიასთან მიმართებაში სამხარეო და მუნიციპალურ დონეებზე დაფინანსების დივერსიფიცირებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ნორმების დაუხვეწაობა ან/და არარსებობა;
- მეწარმეთა შესახებ კანონში სახელოვნებო საქმიანობის გაუთვალისწინებლობა;
- საგადასახადო კოდექსში სახელოვნებო საქმიანობის გაუთვალისწინებლობა და, შესაბამისად, შეღავათების არარსებობა (მაგალითად, არარეზიდენტი გადამხდელი ხელოვანების მიმართ ორმაგი დაბეგვრის საკითხის პრობლემატურობა);
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში კულტურის სფეროს საჭიროებების გაუთვალისწინებლობა (მაგალითად, შემოქმედებითი პროდუქციის/მომსახურების ორმაგი ბუნების გაუთვალისწინებლობა, შესყიდვის რთული ბიუროკრატიული სქემა, რომელიც კულტურის სფეროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ეფექტურ საქმიანობას აბრკოლებს);



## სამოქმედო რეკომენდაციები - საკანონმდებლო ველის დახვეწა ინსტიტუციური მოწყობის გასამართად

კონვენციის იმპლემენტაციისათვის და, ზოგადად, თანამედროვე და განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის წარმოებისათვის მნიშვნელოვანია ახალი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მიღება, რომლებიც ახალ საფეხურზე აიყვანს კულტურის სფეროს კანონმდებლობას და ის, ამავდროულად, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის შესატყვისი იქნება. კერძოდ:

- საქველმოქმედო კანონმდებლობის შემუშავება და მიღება (მეცენატობისა და ფილანტროპიის შესახებ კანონი);
- საგადასახადო შეღავათების სისტემის სრულყოფა და გავრცობა კულტურის საქმიანობისა და კულტურული წარმოებისათვის (მათი ორმაგი ბუნების გათვალისწინებით შესყიდვების კანონში კულტურის სფეროსთვის გარკვეული შეღავათების შემუშავება, ლობირება და ა. შ.);
- კულტურის დაფინანსების დივერსიფიკაციისთვის საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე ა) კერძო სექტორისათვის წამახალისებელი ინიციატივების შემოღება; ბ) კულტურის მუნიციპალური ინიციატივების შემოღება;
- განათლების სისტემის ყველა საფეხურის მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ქვემდებარე აქტებში სახელოვნებო განათლების ერთიანი კულტურის პოლიტიკის კუთხით ცვლილებების შეტანა;
- კულტურის დეცენტრალიზაციის განსახორციელებლად დეცენტრალიზაციის სტრატეგიასთან მიმართებაში სამხარეო და მუნიციპალურ დონეებზე კულტურის დაფინანსების დივერსიფიცირებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ნორმების შემოღება (მათ შორის, მაღალმთიანი რაიონების თავისებურებების გათვალისწინება);
- არსებული დარგობრივი კანონების სრულყოფა, ახლის მიღება (მაგალითად, ვიზუალური ხელოვნების შესახებ კანონისა და თავისუფალი ხელოვნების სტატუსის შესახებ კანონის შექმნა, მასთან დაკავშირებული შეღავათების სისტემის ამოქმედება).

## 2. მიმართულება - ეკონომიკური განვითარება

### არსებული მდგომარეობა

საქართველოს მიერ გაეროს 05.12.2013 წლის # A/C.2/68/L.69 რეზოლუციის „კულტურა და მდგრადი განვითარება“ ოფიციალურად გაზიარების და კულტურასა და მდგრადი განვითარების სამ მიმართულებას (ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი) შორის პირდაპირი კავშირის აღიარების ფონზე მიმდინარე კულტურული პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ არც სამთავრობო და არც სამოქალაქო და კერძო სექტორების დონეზე (გამონაკლისს წარმოადგენს მცირერიცხოვანი არასამთავრობო და ექსპერტული საზოგადოება) არ მომხდარა კულტურის ეკონომიკური განზომილებისა და კულტურასა და ეკონომიკას შორის კავშირის გააზრება; შესაბამისად, დეკლარირებული პოსტულატები სისტემურად ჯერ არ ასახულა სახელმწიფოს გადაწყვეტილებებში და არ განხორციელებულა ქმედებებში.

სამაგიეროდ, დღესაც დამკვიდრებულია კულტურაზე, როგორც გართობაზე წარმოდგენა და მისი როლი არასათანადოდ არის გააზრებული სამთავრობო თუ სამოქალაქო დონეებზე. შესაბამისად, მთავრობების ცვლის მიუხედავად, არსებობს ერთგვარი სავალალო მემკვიდრეობითობა - ეკონომიკური ინტერესისათვის კულტურული ღირებულებების (უმეტესწილად, მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის) გაწირვა. ხშირად ინვესტიციების სანაცვლოდ კერძო სექტორს უთმობენ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს ისე, რომ დაცვის შესაბამისი რეგულაციების უგულვებლყოფას აქვს ადგილი. სახელმწიფო კი ამგვარი ფაქტების მიმართ ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ავლენს.

ამასთან, ინვესტირება კულტურაში არის ძალზე მინიმალური და საერთო ეკონომიკური კრიზისის ფონზე კულტურა ხდება პირველი სამიზნე სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირების შემთხვევაში.

ამ პრობლემებიდან გამომდინე, ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა-განაწილება და კულტურის შესაბამისი პოლიტიკის წარმოება საზოგადოების მწვავე განხილვის საგანია (განსაკუთრებით რეგიონებში). შედეგად, მწირი რესურსების მქონე თემებსა და სახელმწიფო დოტაციაზე დამოკიდებული კულტურის დარგების წარმომადგენელთა მხრიდან ცენტრალიზაციის გაძლიერების - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებასა და ეროვნული ბიუჯეტიდან დაფინანსების - მოთხოვნა ჩნდება, რაც არ შეესაბამება სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული დეცენტრალიზაციის სტრატეგიას და არც სამოქალაქო სექტორისათვის კულტურული დემოკრატიზაციის სასურველ მიმართულებას. იმპლემენტაციის კონტექსტში განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა:

ზოგადი პრობლემები:

- ქვეყანაში არსებული საყოველთაო სოციალურ-ეკონომიკური სირთულეები, უმუშევრობა, მოსახლეობის დაბალი შემსყიდველუნარიანობა.

კონკრეტული პრობლემები:

- კულტურის სფეროს დაფინანსების სახელმწიფო წყაროების სიმცირე, არსებულ წყაროებზე წვდომის პრობლემა;
- გრძელვადიანი პროექტებისთვის მდგრადი დაფინანსების მოძიების შეუძლებლობა (მათ შორის სახელმწიფოსგან);
- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მცირე გამოცდილება, ინფორმაციის უქონლობა, განსაკუთრებით რეგიონებში;
- არასამთავრობო და კერძო დაფინანსების წყაროების მოძიების სირთულე;
- კულტურის სფეროში დასაქმების სირთულე და არამომგებიანობა (დაბალი შემოსავალი) და, შედეგად, ახალგაზრდა თაობის გადინება კულტურის სფეროდან სხვა, უფრო მომგებიან სფეროებში;
- რეგიონებიდან ხელოვნებით დაინტერესებული ახალგაზრდების გადინება დედაქალაქში და ადგილებზე კადრების დაბერება, განვითარების შეფერხება;
- კულტურის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობები, როგორც შესაბამისი საინვესტიციო გარემოს არარსებობის, ასევე კულტურაში დასაქმებულთა უნარ-ჩვევების არქონის თუ საზოგადოების დაბალი შემსყიდველუნარიანობის გამო;
- ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა კულტურის ყველა სფეროსა და დონეზე (მცირერიცხოვანი გამონაკლისების გარდა) და მის აღსადგენად/განსავითარებლად არასაკმარისი რესურსები;
- კულტურაში ინვესტირებისადმი კერძო სექტორის არასაკმარისი დაინტერესება სახელმწიფო რეგულაციებისა და შეღავათების სისტემის არარსებობის გამო;
- კულტურისა და არტ-ბაზრის სიმწირე და ინსტიტუციური სისუსტე, კულტურის სფეროს მეწარმეთა მცირე კაპიტალბრუნვა და რესურსები;
- კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების მიმართ სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მხრიდან გრძელვადიანი მომგებიანი თანამშრომლობის სტრატეგიის არარსებობა, კულტურის ეკონომიკური პოტენციალის გაუცნობიერებლობა;
- კერძო კაპიტალის კულტურული მემკვიდრეობისადმი მოკლევადიან ინტერესებზე ორიენტირებული მტაცებლური ტაქტიკის გატარება სახელმწიფოს მიერ შემწყნარებლური პოლიტიკის ფონზე;
- ქალაქებსა და ქალაქმფარმირებელ დიდ კერძო კომპანიებს (მაგალითად, ფოთის პორტი, კაზრეთის JSC RMG Copper და სხვა) შორის არსებული დაპირისპირებული დამოკიდებულება და ადგილობრივი საჭიროებების უგულებელყოფა, თემისა და ადგილობრივი საზოგადოების განვითარებით ბიზნესის დაუინტერესებლობა: ადგილობრივი კულტურის განვითარებაში ან მინიმალური მონაწილეობა, ან ურბანული კულტურული ლანდშაფტისა თუ კულტურული მემკვიდრეობის დამანგრეველი ქმედებების წარმოება, დამცავი რეგულაციების სისუსტის ან არარსებობის გამო;
- მოქალაქეებისათვის კულტურაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა.

- სახელმწიფოს მხრიდან კულტურის გასავითარებლად მდგრადი ეკონომიკური გარემოს შექმნა;
- სახელმწიფოს მიერ კულტურის, როგორც მიმზიდველი საინვესტიციო სფეროს პოზიციონირება სახელმწიფო ინვესტირების გაზრდით; ამასთან, სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი კულტურის პოლიტიკის წარმოება კერძო ინვესტორებთან მიმართებაში და საერთაშორისო ნორმების შესაბამისი სამართლიანი რეგულაციების დაწესება;
- სახელმწიფო, არაკომერციული და კერძო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ კულტურულ საქმიანობას, კულტურის საქონლის და მომსახურების შექმნას, წარმოებას, გავრცელებას, განაწილებას სახელმწიფო ფინანსური დახმარებით;
- სახელმწიფო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დარგობრივი პროგრამების განვითარებისა და გამრავალფეროვნების საშუალებით;
- სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა, დაფინანსების ახალი ფორმების შემოღება, არსებულის ლიბერალიზაცია (სხვადასხვა სამინისტროების, სააგენტოების, გუბერნატორების ოფისების მიერ საგრანტო პოლიტიკის შემუშავება და დახვეწა);
- მუნიციპალური დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება, მუნიციპალური კულტურის ფონდების შექმნა (იხ. „მიმართულება-კანონმდებლობა“);
- კულტურის სფეროში მომუშავე სხვადასხვა კერძო ფონდების დაარსება, მათი ხელშეწყობა (მათ შორის ფილანტროპიის კანონის მიღებით. იხ. „მიმართულება-კანონმდებლობა“);
- სახელმწიფოსა და კერძო დონორების მხრიდან კულტურის სექტორში სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა "start up"-ის ფინანსური დახმარებით;
- მუნიციპალიტეტების მიერ სოციალური გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის ახალგაზრდა და სოციალურად დაუცველი ხელოვანებისთვის სპეციალური საგრანტო პროგრამების ამოქმედება და ხელოვანების დასაქმების ხელშეწყობა;
- თვითგამოხატვის მრავალფეროვნების კონტექსტში კულტურასა და ვაჭრობას შორის სწორი კორელაციისათვის გლობალური ბაზრის საშიშროების გათვალისწინებით კულტურის ღირებულებების დაცვისა და კულტურული სიკეთეების შექმნის სტრატეგიული ხედვის შემუშავება-ამოქმედება;
- საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში კულტურული მომსახურებისა და კულტურული საქონლის ორმაგი ბუნების დაცვა.

### სამოქმედო რეკომენდაციები - ინფრასტრუქტურის განვითარება

- სახელმწიფოს მიერ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი და ხელმისაწვდომი კულტურული აქტივობების ხელშესაწყობად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, გამართვა, განვითარება;
- თანამედროვე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების კულტურული კომპონენტის ხელშეწყობა საზოგადო კულტურული სივრცეებისა და კულტურის ობიექტების განსავითარებლად;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება მუნიციპალური რესურსების ეფექტური მენეჯმენტის გზით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სახელმწიფო და მუნიციპალური რესურსების, ინფრასტრუქტურის დაცვა და განვითარება: თავისუფალი სივრცეების შექმნა, მუნიციპალური კინოთეატრებისა და კულტურის სახლების ქსელის აღდგენა-განვითარება, რათა სხვადასხვა ტიპის კულტურული აქტივობა ქალაქური ცხოვრების ყოველდღიური ნორმა გახდეს.

### სამოქმედო რეკომენდაცია - ინსტიტუციური განვითარება

- არასამთავრობო სექტორის ინსტიტუციური განვითარებისათვის ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება და დაფინანსება;

- კერძო სექტორისთვის შეღავათების დაწესება კულტურის სფეროს არაკომერციულ ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობისათვის, რაც უკანასკნელის ინსტიტუციურ განვითარებას შეუწყობს ხელს;
- კულტურული ინდუსტრიის განვითარებისა და ინვესტირების ფონდების, მათ შორის start up-ებისთვის ფინანსური ფონდების შექმნა, საქმიანობის ხელშეწყობა;
- ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების განვითარება ინტერდისციპლინარული პროექტების მხარდაჭერით, მათი მდგრადობისათვის შესაბამისი დაწესებულებების შექმნითა და მხარდაჭერით;
- არტ-ბაზრის ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა;
- კულტურის სფეროში მონოპოლიზმთან ბრძოლა.

### სამოქმედო რეკომენდაციები - კულტურის როლის განსაზღვრა და დამკვიდრება საზოგადოების მდგრად განვითარებაში

- კულტურის, როგორც სოციალური და ეკონომიკური განვითარების რესურსის განსაზღვრა და დამკვიდრება;
- სიდატაკის დასაძლევად და კულტურის ეკონომიკის გასაძლიერებლად კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება;
- ურბანული განვითარებისთვის კულტურული ასპექტების ეკონომიკური მნიშვნელობით გამოყენება - ქალაქების სტრატეგიებში კულტურის რესურსის მაქსიმალურად გამოყენება;
- კულტურული პროდუქტისა და საქონლის წარმოებისა და საქმიანობის ეფექტურობის ზრდის ხელშეწყობა: მუნიციპალური ხელისუფლების მხრიდან ხელოვანების და კულტურულ პროცესში ჩართული ადამიანების სისტემატური მხარდაჭერა და ხელშეწყობა; გაცვლითი და საფესტივალო პროგრამების უზრუნველყოფა, ტურისტული ატრაქციების ხელშეწყობა;
- მომიჯნავე ინსტიტუციებთან და სექტორებთან თანამშრომლობით შემოქმედებითი, კრეატიული ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების და ინსტრუმენტების ევროპული სტანდარტების შესაბამისად შემუშავება;
- სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო სექტორების სინერგიით საქართველოსა და რეგიონის ბაზრის ტენდენციებისა და მიმართულებების შესწავლა ინვესტირების, ბიზნესის შესაძლებლობებისა და გარემოს კონკურენტუნარიანობის კუთხით;
- შემოქმედებითი ღირებულებების პროდუქციის ექსპორტისა და საერთაშორისო ბაზარზე შესაბამისი ნიშის მოძიება;
- მონოპოლიზმის არდასაშვებად კულტურის არასამთავრობო ორგანიზაციების, საწარმოების, ასოციაციების, შემოქმედებითი კავშირების, გილდიებისა და სხვა კულტურული გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობა.

### 3. მიმართულება - მენეჯმენტი

#### არსებული მდგომარეობა

საქართველოში კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის კონტექსტში ინტერდისციპლინარული და ტრანსსექტორალური საქმიანობის აუცილებლობის პირობებში მენეჯმენტის ხარისხი წარმატებისა თუ წარუმატებლობის წინაპირობაა. მართვის კუთხით არსებობს შემდეგი პრობლემები:

- კულტურის სფეროს სახელმწიფო სტრუქტურებში მენეჯმენტის მაღალი კვალიფიკაციის კადრების სიმცირე, ინსტიტუციონალური მეხსიერების არარსებობა და შესაბამისად, სისტემის ფუნქციონირებაში პრობლემების მუდმივი არსებობა;

მენეჯმენტის არსებული სახელმწიფო რეგულაციების არაეფექტურობა;

- სამთავრობო სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის აქტივობების დაგეგმვის ქაოტურობა და ურთიერთშეუთანხმებლობის გამო რესურსების არაეფექტური ხარჯვა;
- კულტურის სფეროში ცენტრალური და მუნიციპალური პროგრამების მენეჯმენტის არაეფექტურობა (მოუქნელი ბიუროკრატისა და გადაწყვეტილებების მიღების დაგვიანების გამო დროის არამართებული გაჭიანურება და შედეგად საბიუჯეტო ფინანსების და ადამიანური რესურსის არაეკონომიური ხარჯვა);
- წლების მანძილზე საბიუჯეტო (ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე) მსხვილი ღონისძიებების დაგეგმარების არაეფექტურობა;
- არასაკმარისი ინტერმინისტრიალური თანამშრომლობა გადაწყვეტილებების მიღებისას მაღალ დონეზე, უწყებათაშორისი ზოგადი კოორდინაციის, კერძოდ, ინფორმაციის გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით მენეჯმენტის არადაამაკმაყოფილებელი ხარისხი (განსაკუთრებით კულტურის, განათლებისა და ეკონომიკის სხვადასხვა უწყებებს შორის);
- სხვადასხვა უწყებებს, ასევე ცენტრსა და რეგიონებს შორის ერთი სისტემის ფარგლებში არსებულ საქვეუწყებო ინსტიტუციებში თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფის პრობლემა.

### სამოქმედო რეკომენდაციები - მართვის ხარისხის უზრუნველყოფა

- სპეციფიკურ მხატვრულ-შემოქმედებით და კულტურულ საკითხებზე პასუხისმგებელი სამთავრობო გადაწყვეტილების მიმღები პირების მაღალი კომპეტენციის დასამკვიდრებლად განისაზღვროს შერჩევის მკაცრი წესი, საბჭოების მიერ შემუშავდეს კონკურსის კრიტერიუმები;
- გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩართული სამთავრობო გადაწყვეტილების მიმღები მოხელეების კომპეტენციები, უზრუნველყოფილი იყოს პერიოდული ატესტაციის საფუძველზე კვალიფიკაციის შესაბამისობის დამოწმება;
- კულტურის პოლიტიკის ექსპერტული მეთოდით მართვის დანერგვა და პრევენციული რეჟიმის გამოყენება შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილების მისაღებად;
- მართვის ხარისხის უზრუნველსაყოფად კონტროლის მექანიზმის შემუშავება და შესაბამისი პროექტების დაგეგმვა (იხ. „მიმართულება - მონიტორინგი, ხარისხის კონტროლი“);
- მართვის ხარისხის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული პრიორიტეტების პროფესიონალურად განსაზღვრისა და შერჩევის კვალიფიციური კრიტერიუმების დანერგვა (იხ. „მიმართულება - მონიტორინგი, ხარისხის კონტროლი“);
- სამთავრობო მოხელეთა და ექსპერტული საზოგადოების თანამშრომლობის სოლიდარული პრინციპის უზრუნველყოფა, ცენტრალური, სამხარეო და მუნიციპალურ დონეებზე პროფესიონალური აზრის გათვალისწინებასა და მაღალი გემოვნების დამკვიდრებაზე ორიენტირებული კულტურის პოლიტიკის გასატარებლად;
- სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორში მენეჯმენტის განვითარებისათვის არტ-საბჭოებისა და გილდიების ფორმების დამკვიდრება;
- არასამთავრობო სექტორის მიერ კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგში ტრადიციულისა და თანამედროვეს სინთეზისა და ცოცხალი კულტურის მართვაში მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად, კულტურის პოლიტიკის ექსპერტული მეთოდისა და კოალიციური /ქსელური თანამშრომლობის განვითარება.

### სამოქმედო რეკომენდაციები - ინტერმინისტრიალური თანამშრომლობა

- ინტერმინისტრიალური თანამშრომლობის გაძლიერება სამთავრობო და საერთაშორისო დონეზე, პროფესიული პასუხისმგებლობისა და კვალიფიციულების ამაღლების გზით;
- სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის სინერგიის უზრუნველყოფა მართვის ეფექტურობისა და ეკონომიკური ზრდის მისაღწევად;

- ცენტრალური და მუნიციპალური მთავრობების სისტემური და გრძელვადიანი სინერჯის უზრუნველყოფა.

### სამოქმედო რეკომენდაციები- კოორდინაციის გაუმჯობესება მუნიციპალურ დონეზე

- ქალაქების საპარტნიორო და ქსელური მუშაობის განვითარების ხელშეწყობა: თვითმმართველი ქალაქების მუნიციპალური მთავრობების წარმომადგენლებისგან ინტერკულტურული ქსელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას საუკეთესო პრაქტიკების თაობაზე; მათი ანალიზის შედეგად თითოეული ქალაქისთვის იდენტიფიცირებული მაფორმირებელი საიდენტიფიკაციო კოდის შემუშავება და ბრენდინგი, კულტურული პოლიტიკის უნივერსალური საშუალებების შერჩევა და მართვის განხორციელება;
- ქალაქების მიერ საკუთარი კულტურის პოლიტიკის შემუშავება კულტურის არასამთავრობო სექტორისა და მუნიციპალური კვაზი-არასამთავრობოების ფუნქციების გამიჯვნის გათვალისწინებით;
- კულტურის მუნიციპალური განყოფილებების და ცენტრების მიერ ქალაქის კულტურის სტრატეგიის ეფექტური დაგეგმვა/განხორციელება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფით;
- ქალაქის კულტურის სტრატეგიის ეფექტური მენეჯმენტის მეშვეობით რესურსების გაზრდა (მაგ.: კულტურული ტურიზმის განსავითარებლად ინტერსექტორალური საბჭოს შექმნა, რომელიც კულტურულ ღონისძიებათა და პროექტების სეზონური კალენდრის დაგეგმვას, რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და ა.შ. უზრუნველყოფს).

## 4. მიმართულება - მონიტორინგი, ხარისხის კონტროლი

### არსებული მდგომარეობა

კულტურის სფეროში, როგორც სახელმწიფო, ასევე სამოქალაქო დონეზე მკაფიოდ იკვეთება განათლებისა და კვალიფიკაციის პრობლემებთან მიმართებაში სისტემური შიდა და გარე მონიტორინგის, ასევე ხარისხის კონტროლის საკითხი. შესაბამისად, მათი ნაკლებობა აკნინებს კულტურული პრაქტიკის საუკეთესო გამოცდილებას და ძალისხმევას, და კონვენციის იმპლემენტაციის მცდელობებს.

მონიტორინგის სფეროში გამოკვეთილი პრობლემები:

### შიდა მონიტორინგის ფორმალურობა

- სხვადასხვა დონეზე კულტურული პრაქტიკების ანალიზი აჩვენებს, რომ კულტურის სფეროში შიდაუწყებრივი მონიტორინგი მხოლოდ საბიუჯეტო თანხების ხარჯვით ნაწილში ხორციელდება, თავად პროდუქტის - ღონისძიებების, პროგრამისა თუ მიმართულების ხარისხის შეფასებისაგან განყენებულად.
- მართვის შიდასაუწყებო მონიტორინგი რეალური მოტივაციის, ხარისხზე ორიენტირებული კრიტერიუმებისა და ღიაობის ნაკლებობის გამო არაეფექტურია.

### გარე მონიტორინგის ქაოტურობა

- კონკრეტული სახელოვნებო მიმართულებების და მიზნებისათვის ეფექტურად და გამჭვირვალედ ხარჯვის უზრუნველსაყოფად საბიუჯეტო/მუნიციპალური თანხის გამოყოფა უნდა შეესაბამებოდეს კულტურის სტრატეგიას, მის პრიორიტეტებს, რეგულირდებოდეს შესაბამისი

კრიტერიუმებისა და ინდიკატორთა სისტემით და ექვემდებარებოდეს მკაცრ გარე მონიტორინგს: პირველის არარსებობა ზემოქმედებს და ასუსტებს მეორეს;

- კულტურის სფეროში გარე მონიტორინგი ფრაგმენტულია და ქაოტური, განპირობებულია შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების დაქსაქსულობით, სისუსტით, დაფინანსებისა და მოტივაციის არქონით, ხშირად არაკვალიფიციურობით ანდა კონფორმიზმით;
- კულტურის სფეროს მედია მონიტორინგის არარსებობა მედიის მხრიდან კულტურისადმი ორგანიზებული მოდგომის და მოტივაციის არარსებობის გამო.

### ხარისხის კონტროლის არარსებობა

- კულტურის სფეროში ხარისხის კონტროლის არარსებობა კრიტერიუმებისა და ინდიკატორთა სისტემის შემუშავების სირთულის, სფეროში არადაამაკმაყოფილებელი მენეჯმენტისა და კვლევა-დოკუმენტირების გამო;
- კულტურის სფეროში ხარისხის საკითხის გადასაჭრელად კვალიფიციური და ექსპერტული მიდგომის კონსოლიდირების, სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების სინერჯის არარსებობა მოტივაციის არქონის გამო.

### სამოქმედო რეკომენდაციები

#### მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის პრინციპების დანერგვა

- მონიტორინგის შიდა და გარე ფორმატების დანერგვა-განვითარება და ხელშეწყობა;
- კულტურის პოლიტიკის სტრატეგიისა და კონვენციის კონცეფტუალური ჩარჩოს შესაბამისი ხარისხის შეფასების სისტემის შემუშავება, კრიტერიუმებისა და ინდიკატორთა სისტემის მომზადება, გარე და შიდა მონიტორინგის დაგეგმვა;
- ხარისხის კონტროლის დანერგვა, როგორც ზოგადად, კულტურის განვითარებისათვის, ასევე კერძოდ, მონიტორინგის კულტურის ასამაღლებლად, ეფექტური და გამჭვირვალე კულტურის პოლიტიკის საწარმოებლად;
- მუდმივი მონიტორინგისათვის, სიტუაციის გადაფასებისათვის კვლევითი სამუშაოების განხორციელება - კულტურული ღონისძიებების, პროექტების კვლევა, კულტუროლოგიური და ხელოვნებათმცოდნეობითი კრიტიკის განვითარება, აუდიტორიის მარკეტინგული კვლევა.

#### შიდა მონიტორინგის ეფექტურობის ზრდა

- შიდა უწყებრივი მონიტორინგის ორიენტირება კულტურის პროდუქტების ხარისხზე. ამისათვის შეფასების კვალიფიციური კრიტერიუმების შემუშავება-გამოყენება, ღიაობის ზრდა და მოტივაციის ამაღლება;

#### გარე მონიტორინგი და ექსპერტული საზოგადოების კონსოლიდაცია

- მონიტორინგის განხორციელება კვალიფიციური და ექსპერტული მიდგომით - გარე მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება და შესაბამისი პროგრამების განხორციელება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით;
- კულტურის სფეროს გარე მონიტორინგისათვის პროფესიული საზოგადოების, არასამთავრობოთა კოალიციური თანამშრომლობის ხელშეწყობა, საკოორდინაციო საბჭოს შექმნა;
- კულტურის სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კომუნიკაციის დამყარება მედია საშუალებებთან; მათი ინფორმირება და კულტურის სფეროს გარე მონიტორინგის ერთობლივი განხორციელება.

## 5. მიმართულება - პრიორიტეტებისა და კრიტერიუმების მიმართება კვალიფიკაციასა და ღიაობასთან

### არსებული მდგომარეობა

პრიორიტეტები კულტურის სფეროში მუდამ მწვავე დისკუსიის საგანია. მიუხედავად ამისა, ეფექტური კულტურის პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს კრეატიული და ღია მიდგომით სტრატეგიული ინტერესების და შესაბამისი პრიორიტეტების გამოკვეთას. ამის გარანტი კი პასუხისმგებლობასა და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ღია საკადრო პოლიტიკაა. საქართველოში ყველა დონეზე არსებობდა და არსებობს სერიოზული პრობლემური ჯაჭვი: ნეპოტიზმისა და პარტიული ნიშნით საკვანძო თანამდებობებზე დანიშნულ პირთა პროფესიული კვალიფიკაციის ნაკლებობა იწვევს ღიაობის დეფიციტს, ექსპერტული აზრის მიუღებლობას, რაც გადაწყვეტილებათა მიღებისას სტრატეგიული პრიორიტეტებისა და კვალიფიციური კრიტერიუმების ჩამოყალიბებას შეუძლებელს ხდის. შესაბამისად, იკვეთება შემდეგი პრობლემები:

- დაგეგმარება ხშირად პროფესიული კრიტერიუმების გარეშე ხდება;
- ხანგრძლივი მცდელობების მიუხედავად, მიმდინარე პერიოდში კულტურის პრიორიტეტები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული არც სახელმწიფო, არც რეგიონულ და არც მუნიციპალურ დონეებზე;
- საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა ხშირად ქაოტური და სპონტანურია, ამასთან დაფინანსების კრიტერიუმების საკითხი ხშირად სათუთა, გაუმჭვირვალე და პროფესიული მიზანშეწონილობის მიმართ კითხვებს ბადებს;
- ამა თუ იმ უწყების ფუნქციონირების კრიტერიუმები ხშირად დამოკიდებულია გადაწყვეტილებების მიმღები პირების პირად გემოვნებასა და სიმპათიებზე, და არა რეალურ საჭიროებებზე, სტრატეგიულ მიზნებსა და საქართველოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო პრინციპებზე.

### სამოქმედო რეკომენდაციები

- ცენტრალურ დონეზე გადაწყვეტილებათა მიმღებთა კვალიფიკაციის უზრუნველყოფა, მათ მიერ პროფესიული საზოგადოების ნდობის მაღალი ხარისხის მოპოვების აუცილებლობა;
- სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე ხელმძღვანელთა შერჩევა პროფესიული პასუხისმგებლობისა და ღიაობის კრიტერიუმების დანერგვით;
- კულტურის სტრატეგიის პრიორიტეტთა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრა, იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე პროფესიული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა;
- ცენტრალურ, რეგიონულ, მუნიციპალურ დონეებზე პრიორიტეტებისა და კრიტერიუმების გასაჯაროება, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ღიაობის დანერგვა;
- რესურსების გადანაწილების განხორციელება (მათ შორის რეგიონებშიც) პროფესიული კრიტერიუმებით, რომელთა შემუშავებას უზრუნველყოფს მაღალი დონის კვალიფიკაციისა და პროფესიული პასუხისმგებლობის მქონე ექსპერტებით დაკომპლექტებული კომისიები;
- მუნიციპალურ დონეებზე არსებული კულტურის ცენტრების კომისიების სამუშაო პროცესის მიმართ გარე მონიტორინგის გამოყენება და მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ცენტრების პრიორიტეტების და მათი შემუშავების ინდიკატორების სისწორის დადგენა.



## თავი 2. კვალიფიკაცია და პასუხისმგებლობა

მიზანი 2. - საზოგადოებისა და ინდივიდის განვითარებისა და მომავალი თაობების კეთილდღეობის მიზნით განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და კვლევის სფეროებში ინვესტირება და განუხრელი განვითარების პრინციპის განხორციელება

### 6. მიმართულება - განათლება და პროფესიონალიზაცია

#### არსებული მდგომარეობა

ბოლო ორ ათწლეულში რეფორმების არამართებულად წარმართვამ უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებსა და პრაქტიცირებაში გააჩინა დისბალანსი. ასევე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ზოგადად ქვეყნიდან, და კერძოდ, კულტურის სფეროდან ახალგაზრდა პერსპექტიული კადრების გადინებამ კულტურის სფეროში განათლების და შესაბამისად, კადრების კვალიფიკაციის დონის მკვეთრი ვარდნა გამოიწვია. კადრების დაბერებამ საფრთხე შეუქმნა არსებული პროფესიების სიცოცხლისუნარიანობას, ასევე, ციფრული ერის შესაბამისი, ინოვაციებსა და განვითარებაზე ორიენტირებული კულტურის სპეციალობების მრავალფეროვნებას.

საზოგადოების ცნობიერებისა და ზოგადი განათლების დაბალი დონე უქმნის მნიშვნელოვან დაბრკოლებას კონვენციის მიზნებისა და კონცეფტუალური ჩარჩოს გააზრებას, კონვენციის იმპლემენტაციის მონაწილეების დონის შენარჩუნებას საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში და შესაბამისად, კონვენციის განხორციელებას.

საქართველოში სახელოვნებო განათლებისა და პროფესიონალიზაციის კუთხით არსებობს შემდეგი პრობლემები:

- სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული სწავლების ხარისხის პრობლემები;
- სახელოვნებო განათლების ყველა საფეხურზე არადაამკმაყოფილებელი სწავლება, შეუსაბამო ინსტიტუციური, ინფრასტრუქტურული განვითარება;
- სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების ყველა საფეხურის თანამშრომელთა (პედაგოგებიდან დირექტორამდე) კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების საჭიროება;
- უწყებათა შორის, კერძოდ, კულტურისა და განათლების სამინისტროებს შორის არასაკმარისი თანამშრომლობის შედეგად სახელოვნებო განათლებაში არაადექვატური სირთულეების წარმოშობა;
- კულტურის სფეროში პროფესიონალიზაციის ასამაღლებლად განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამათა არასაკმარისი ხარისხი და რაოდენობა;
- საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მიმართული ღონისძიებების ნაკლებობა და ხარისხის არადაამკმაყოფილებელი დონე;

#### სამოქმედო რეკომენდაციები- განათლების ხარისხისა და კვალიფიკაციის ამაღლება

- კულტურის სფეროს გასავითარებლად უწყვეტი სახელოვნებო განათლების სისტემის აღდგენა და პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება;
- სკოლამდელ და სასკოლო განათლებაში სახელოვნებო კომპონენტის, მათ შორის ინტერკულტურული განათლების სეგმენტის გაძლიერება;
- სწავლების ხარისხის ასამაღლებლად თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვის, სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების მიზანმიმართული და ფართომასშტაბიანი გამოყენების ხელშეწყობა;

- ციფრული ერის შესაბამისი თანამედროვე პროფესიებისა და სპეციალობების ფართო სპექტრის განვითარების ხელშეწყობა;
- კადრების გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორული ხელშეკრულებით, პროგრამებით, საერთაშორისო გამოცდილების მქონე ექსპერტებთან თანამშრომლობით, ახალგაზრდა პედაგოგებისთვის გაცვლითი პროგრამების ამუშავებით
- განსაკუთრებულად ნიჭიერი ახალგაზრდების სტიპენდიებისა და საზღვარგარეთ სწავლების უზრუნველყოფა (პროგრამების შექმნა, დაფინანსება, ხელმისაწვდომობა);
- თავისუფალი ურთიერთქმედების და ღია საერთაშორისო ურთიერთობათა ხელშეწყობა. კერძოდ, მნიშვნელოვან საერთაშორისო სახელოვნებო და კულტურულ პროფესიულ ფორუმებზე საქართველოს მონაწილეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) სტაბილური ზრდა;
- კონვენციის ფასეულობებისა და დაცვის საკითხებზე ფართო საზოგადოების ინფორმირებულობა საშუალო სკოლების პროგრამებში კონვენციის თემების დანერგვით, ასევე არაფორმალური განათლების ინსტრუმენტული გამოყენებით;
- პედაგოგების მომზადება კულტურათაშორისი დიალოგის, კულტურათა თანასწორი პატივისცემისა თუ კულტურული თვითგამოხატვის დაცვისა და ხელშეწყობის თემაზე სხვა საკითხებთან მიმართებით;
- სახელმწიფოს მიერ შემოქმედებითი მუშაკებისა და კულტურული თვითგამოხატვის საქმიანობაში ჩართული ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედებითი თვითგამოხატვის წახალისება (მათ შორის პროფესიონალიზაციის მხარდაჭერით);
- მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება და ყოველწლიური ტრენინგების ორგანიზება;
- პედაგოგის სტატუსის აღდგენა სახელოვნებო სკოლების მასწავლებლებისათვის;
- სახელოვნებო განათლების, ასევე კულტურის სამეცნიერო-კვლევითი სისტემების რევიტალიზაციისა და ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა ინტერმინისტერიალური და საერთაშორისო თანამშრომლობით, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სინერგიით და ამ სფეროთა ინვესტირების ხელშეწყობით;
- განათლებისა და პროფესიონალიზაციის პროგრამებში, მათი მენეჯმენტის გაუმჯობესებაში სახელმწიფოს მხრიდან ინვესტირების ზრდა, კერძო სექტორის მხრიდან ინვესტირების ხელშეწყობა სხვადასხვა შეღავათების დაწესებით;
- სამინისტროებისა და ექსპერტული საზოგადოების თანამშრომლობისას მეტი ძალისხმევა კულტურის სფეროს პროფესიების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკვალიფიკაციო ჩარჩოს თუ კურიკულუმების შედგენისათვის (განსაკუთრებით ინტერდისციპლინარული დარგების სფეროში, როგორცაა კულტურის მენეჯმენტი, ხელოვნებათმცოდნეობა და ა. შ.);
- განათლების როლის გაცნობიერება-პოპულარიზაციისათვის კულტურული თვითგამოხატვის დაცვისა და ხელშეწყობის საქმეში კულტურის სფეროს ჟურნალისტების პროფესიონალიზაციის ხელშეწყობა;
- კულტურის სფეროს ჟურნალისტებისთვის გადამზადების პროგრამების შემუშავება და შექმნა.

## 7. მიმართულება - კულტურული პროცესის კვლევა და დოკუმენტირება

### არსებული მდგომარეობა

კონვენციასთან მიერთების მომენტიდან დღემდე ვერ შემუშავდა დოკუმენტირებისა და სისტემური კვლევების გეგმა ან პროგრამა, რისი შედეგიცაა 2012 წელს კონვენციის იმპლემენტაციის წარსადგენი ანგარიშის ვერშექმნა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაწყებული კულტურის პოლიტიკის შემუშავების რთული, წინააღმდეგობრივი და დაბრკოლებით მიმდინარე პროცესის შეფერხება-გაწელვის ერთ-ერთი მიზეზია წინმსწრები კვლევებისა და დოკუმენტირების, ასევე სრულყოფილი და სისტემატიზირებული სტატისტიკური მონაცემების ბაზის არქონა.

გარდამავალი პერიოდის, 2016-2025 წლების ეროვნული კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის „კულტურა 2025“-ის შექმნა-შემუშავება ასევე ხორციელდება სიღრმისეული ინტერსექტორალური სამეცნიერო და სოციოლოგიური კვლევების გარეშე (დაფინანსებისა და დროის სიმცირის გამო) და ეყრდნობა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ფართომასშტაბიან შეხვედებსა და არსებულ მონაცემებს.

### სამოქმედო რეკომენდაციები

- კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავება-განახლება სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო სექტორთა და საერთაშორისო საექსპერტო საზოგადოებებთან (მაგალითად, COMPENDIUM, COMEDIA, KEA) თანამშრომლობით არსებული სიტუაციის ანალიზისა და უწყებათაშორისი ინფორმაციის სისტემური გაცვლისა და ინტერსექტორალური კვლევებს საფუძველზე;
- კულტურის მდგომარეობის, მის მიმართ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში დამოკიდებულების კვლევათა დაკვეთა შესაბამის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის;
- კულტურის სფეროს სამეცნიერო-კვლევითი სისტემის მოდერნიზება (კერძოდ, კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო დაწესებულებების და არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციების მოდერნიზების გზით);
- რეგიონებში კულტურული აქტივობების თუ პროდუქტების დოკუმენტირების ინსტიტუციური და ფინანსური ხელშეწყობა;
- სტატისტიკური მონაცემების ციფრული ბაზის შექმნა-განახლების პროცესის დაწყება, იუნესკოს სტატისტიკური სტანდარტების დანერგვა;
- მიმდინარე პროცესების შეფასებისა და სამეცნიერო მონიტორინგის სისტემის შექმნა - ინსტიტუციური და ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება (მაგალითად, იუნესკოს ექსპერტების მოწვევა);
- კულტურის პოლიტიკის სტრატეგიული კვლევების პროგრამის დაფუძნება.

### თავი 3. კულტურული პრაქტიკა

მიზანი 3. შემოქმედებითი თვითგამოხატვის მრავალფეროვნების ხელშეწყობა ყველა კულტურის თანასწორი ღირსებისა და პატივისცემის პრინციპის დაცვით (მათ შორის ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისათვის)

#### 8. მიმართულება - ენობრივი მრავალფეროვნების პოპულარიზაცია და განვითარება

##### არსებული მდგომარეობა

იუნესკოს განმარტებით, სახელმწიფო ენა წარმოადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოს მაფორმირებელ სიმბოლოს, რომელიც ემსახურება პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ინტეგრაციას. საქართველოში, როგორც მრავალენოვანი სახელმწიფოში, სახელმწიფო ენის ცოდნა მოქალაქეობის აუცილებელი პირობაა და ეროვნული ერთობის განუყოფელი ნაწილია. ამასთან, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის საყოველთაო ცოდნა პრობლემაა, რაც საბჭოთა პერიოდის მძიმე მემკვიდრეობის შედეგია.

სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამების მიუხედავად, ეთნიკურ უმცირესობებში ენობრივი ბარიერი ჯერ კიდევ არ არის დაძლეული, განსაკუთრებით უფროს თაობაში.

საქართველოს ტერიტორიაზე ასევე არსებობს ეთნიკური და ენობრივი ჯგუფები, რომელთა ენები საფრთხის წინაშე მყოფ ენათა რიგს მიეკუთვნებიან. უპირველესად, ეს ეხება აფხაზურ ენას, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზე, საქართველოს კონსტიტუციით ქართულთან ერთად სახელმწიფო ენას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მიმდინარეობს აფხაზური ენის გავრცელების არეალის შემცირება და რუსული ენით ჩანაცვლება. ასევე, საფრთხის წინაშეა მაგალითად, უბიხური ენა, რომლის მატარებელიც ძალზე მცირე ჯგუფია და ის მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული.

ენობრივ მრავალფეროვნებასთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, არადაამკაცოფილებელი სწავლება;
- ეთნიკურ უმცირესობებში ენობრივი ბარიერის არსებობა, რაც წარმატებული ჩართულობისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორია;
- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წინაშე მყოფი ენების, კერძოდ აფხაზური ენის შენახვა-განვითარებისათვის სათანადო ზომების გატარების შეუძლებლობა ენის გავრცელების არეალის - აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის და მასზე საქართველოს სახელმწიფოს მიერ საკუთარი იურისდიქციის განხორციელების შეუძლებლობის გამო;
- საქართველოს მტავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წინაშე მყოფი ენების, კერძოდ, აფხაზურის და სხვა (მაგალითად, უბიხური) ენების, შენახვა-განვითარებისათვის ზომების არასათანადო გატარება შესაბამისი სტრატეგიის არქონისა და რესურსების ნაკლებობის გამო;
- კონსტიტუციური უფლების - საქართველოში მცხოვრები პირების მიერ სახელმწიფო ენის სწავლასთან ერთად შეინარჩუნონ და განავითარონ საკუთარი ენა - რიგ საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უზრუნველყოფის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლებასთან დაკავშირებით მაინც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა; მეტიც, უკმარისობის განცდა, რაც სამოქალაქო ერთობისათვის საფრთხის შემცველია;
- ენობრივი მრავალფეროვნების კონტექსტში კულტურულ-სამეცნიერო, კვლევით-საგანმანათლებლო და მედია პროგრამების სიმცირის გამო ენების საკითხი ძალზე სენსიტიურ

თემად რჩება, როგორც არაქართველ მოსახლეობაში, ასევე ქართული საზოგადოების სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებშიც;

- კავკასიურ ენებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება მხოლოდ მეცნიერული კვლევის ინტერსესს წარმოადგენს (მაგალითად, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) და არ არის ფართო საზოგადოების განხილვის საგანი, გარდა მათი მატარებელი მცირე ეთნიკური ჯგუფებისა;
- ენობრივი მრავალფეროვნების კონტექსტში არ ხდება სათანადო თანამშრომლობა სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის (კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის), ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის;
- ენობრივი მრავალფეროვნებისა და სახელმწიფო ენის არაფორმალური სწავლების ინსტიტუციური ბაზის არქონა ანდა არაეფექტურობა (ე.წ. ქართული ენის სახლების არსებული ფორმის არაეფექტურობა; იხ. განათლების სამინისტროს 2012 წლის გამოწვევები).

## სამოქმედო რეკომენდაციები

- სახელმწიფო ენის, როგორც კულტურული იდენტობის, ნაციონალური იდეის, ერთობისა და ინტეგრაციის ინსტრუმენტის პოპულარიზაცია, შესწავლა და განვითარება;
- “სახელმწიფო ენის შესახებ” კანონის (2015 წ.) თანახმად სახელმწიფო ენის საყოველთაოობის პოლიტიკის უზრუნველყოფა: ყველა მიმართულებით - ბიუროკრატიული, სამოქალაქო, კულტურული, მედია და საერთაშორისო - მისი გაძლიერება, ასევე სახელმწიფოებრივ-ბიუროკრატიული აპარატის მიერ, მმართველობის ყველა დონეზე მის განსახორციელებლად შესაბამისი მკაცრი ზომების გატარება;
- განათლების სისტემის ყველა საფეხურზე ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლება, ხარისხის კონტროლის გამკაცრება (განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხს არაქართულ მოსახლეობაში);
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საგარეო საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების, დიასპორების საკითხებში სახელმწიფო მინისტრისა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატების სინერგიით შეიქმნას ქართული ენის, როგორც სახელმწიფო აზროვნების მდგენელის, საქართველოს კულტურული ღირებულების მატარებლისა და ქართული კულტურის გამავრცელებელი ინსტრუმენტის, ქართული ენის და კულტურის ცენტრების საერთაშორისო ქსელი, რომელიც ქართულის სწავლებისა და პოპულარიზაციის მიმართულებით იმუშავებს მსოფლიოში;
- გრძელვადიან პერსპექტივაში სამთავრობოთაშორისი თანამშრომლობითა და მუნიციპალიტეტებთან ერთობლივად დაიგეგმოს რეგიონებში ქართული ენისა და კულტურის ცენტრების ქსელის შექმნა; რაც სამხარეო და მუნიციპალურ დონეზე კულტურის დეცენტრალიზაციის მოდელის აპრობირების მაგალითი იქნება;
- მსოფლიო კულტურულ პროცესებში მეტი ინტეგრირებისათვის მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარება და შესაბამისი ორგანიზაციების შექმნა-ხელშეწყობა (მაგალითად, ქართული მთარგმნელობითი კოლეგიის მსგავსი ინსტიტუციის აღდგენა/დაარსება, რაც გაზრდის ქართულად და ქართულიდან თარგმანების რაოდენობას და აამაღლებს მათ დონეს);
- სახელმწიფო ენის საყოველთაო ცოდნის ზრდის ხელსაშეწყობად, ასევე ქართული ენის, როგორც კულტურის ფასეულობის განვითარებისა და გამდიდრებისათვის, შესაბამისი მედია მხარდაჭერის განხორციელება. მხარდაჭერა უნდა გამოიხატებოდეს არა მარტო დეკლარირების ფორმატში, ან თუნდაც სპეციალური კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების სახით (რაც

აუცილებელია), არამედ მდიდარი და გამართული ქართული ენით მეტყველების კულტურის თანმიმდევრული დამკვიდრებით მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებებში;

- რეგიონებში ქართულ ენაზე წარმოებული კულტურული ცხოვრების (მაგალითად, ქართული ენის სახლებისა და სხვა კულტურული ცენტრების ღონისძიებები) ხარისხის ამაღლებით მოსახლეობაში (მათ შორის ეთნიკურ უმცირესობებში) ქართული ენისადმი ინტერესის ზრდის ხელშეწყობა, რათა ქართული ენა გახდეს როგორც ქართული, ასევე მსოფლიო კულტურის, განსაკუთრებით, თანამედროვე პროცესების გამავრცელებელი მიმზიდველი ინსტრუმენტი, შიდა ინტერკულტურული და საერთაშორისო ინფორმაციის მიმოქცევის ძირითადი საშუალება;
- ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის საყოველთაო ცოდნის უფრო აქტიური პოპულარიზაციის უზრუნველყოფა, რაც იქნება ცხოვრების ხარისხისა და კარიერული ზრდის მიღწევის - კულტურულ პროცესში თანაბარი მონაწილეობის, ხარისხიანი განათლებისა და ინფორმირებულობის, ადამიანის თვითგამოხატვის უფლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეფექტური განხორციელების საწინდარი;
- ენობრივი მრავალფეროვნების, როგორც კულტურული მრავალფეროვნების ძირითადი ელემენტის, პროპაგანდა და განვითარება და ამ მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელება (სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ენების, და ამასთან ქართველური ენების განვითარების პროექტების განხორციელება);
- საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საფრთხის წინაშე მყოფი ენების (განსაკუთრებით, აფხაზურის, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართულთან ერთად, სახელმწიფო ენის სტატუსის მქონეა), როგორც საქართველოს კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურული იდენტობის ნაწილის, ასევე, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, შენახვა-დაცვა-განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი ინსტიტუციური და მატერიალური მხარდაჭერით; (შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, დაცვის ხელშეწყობი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება);
- სხვადასხვა ენობრივი ჯგუფის მიერ საკუთარი ენის შემსწავლელი კურსებისა თუ ინსტიტუციებისათვის ხელშეწყობი გარემოს შექმნა სახელმწიფოს სუვერენული პრინციპების დაცვის ფარგლებში;
- ფორმალური და არაფორმალური ინტერკულტურული სწავლების პროგრამებში ენობრივი მრავალფეროვნების საკითხების ჩასმა და განვითარება.

## 9. მიმართულება - მედია და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნება

### არსებული მდგომარეობა

კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი კომპონენტია მედია მრავალფეროვნება. თავად კულტურის პოლიტიკის უპირველეს მიმართულებებთან შორის კულტურის გავრცელება და ანიმაცია შექმნა-შენახვის ტოლფასია. ამ მხრივ, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ მასშტაბში, მედიის როლი განუზომლად დიდია.

ამდენად, საქართველოში კულტურული პრაქტიკის განვითარების კონტექსტში აუცილებელია მედიის როლის, კერძოდ კი კულტურის სფეროში მოქმედი მასმედიის როლის განსაზღვრა და მასთან ერთად კრიტიკისა და კრიტიციზმის მდგომარეობის კვლევა.

მედია სივრცის ზედაპირული ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ მედია არასაკმარის ყურადღებას უთმობს კულტურის გაშუქებას, ხოლო კულტურის პროფესიული კრიტიკისათვის განკუთვნილი დრო და ადგილი მედია-გარემოში თითქმის საერთოდ არ მოიძებნება.

შესაბამისად, გამოიკვეთა კულტურის სფეროს მედიისა და კრიტიციზმის შემდეგი პრობლემები:

- კულტურული თვითგამოხატვის კონტესტში მედიის მრავალფეროვნების განსავითარებლად სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ერთიანი ძალისხმევის არარსებობა;
- მედიის მხრიდან კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის ხარისხიანი და კორექტული პროპაგანდის უკმარისობა და კონვენციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის არარსებობა;
- საზოგადოებრივი მაუწყებლისა და კერძო ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებში კულტურის ცალკე ბლოკის არარსებობა;
- მედია სივრცეში კულტურაზე პროფესიული კრიტიკული მსჯელობის, კვალიფიციური დისკუსიების სიმწირე; კერძოდ, მედიის მიერ თანამედროვე ხელოვნების საკითხების გაშუქების უკმარისობა; საერთაშორისო მეინსტრიმის თაობაზე ინფორმაციისა და მის კონტექსტში საქართველოს თანამედროვე ხელოვნების რაობასა და ადეკვატურობაზე ანალიზის ნაკლებობა; თანამედროვე ხელოვნების შესახებ, როგორც კულტურული თვითგამოხატვის უმნიშვნელოვანესი ფორმის თაობაზე, რომელიც დიდად განსაზღვრავს საზოგადოების ცნობიერებისა და კულტურული განვითარების დონეს, კრიტიკული ანალიზის არარსებობა;
- მედია სივრცეში სახელმწიფოს მხრიდან თანამედროვე ხელოვნებისა და კლასიკური ხელოვნების ხელშეწყობის ანდა პრობლემების შესახებ კვალიფიციური ანალიზის არ არსებობა;
- მედიის, როგორც მაღალი კულტურის პოპულარიზაციისა და დამკვიდრების ინსტრუმენტის, პასუხისმგებლობის ნაკლებობა, კლასიკური ხელოვნების განვითარებაზე მიმართული კრიტიკისა და ანალიტიკური ხედვის სისუსტე;
- სახელოვნებო პუბლიკაციებისათვის (როგორც ბეჭდური, ისე ინტერნეტ-გამოცემები) პლატფორმების სიმცირე; ზოგადად ხელოვნების დარგში კრიტიკის ნაკლებობა;
- კულტურის სფეროს გასაშუქებლად მედიის მოტივირების მცირე შესაძლებლობები, ამასთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ ირიბი ხელშეწყობის ზომების არგამოყენება;
- კონფლიქტი სხვადასხვა მედია-პროდუქტის ფინანსურ მომგებიანობასა და კულტურულ ღირებულებას შორის;
- მასმედიის მიერ კულტურის სხვადასხვა დარგების პრიორიტეტულობის განსაზღვრისას კრიტერიუმების გაუმჭვირვალობა: ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ლიდერობა საინფორმაციო ბადეში ხშირად განპირობებულია მედია საშუალებების ხელმძღვანელობის გემოვნებით და პირადი დაინტერესებით, და არა სისტემატური კვლევის საფუძველზე გამოვლენილი პრიორიტეტებით;
- კულტურის თემაზე მედია პროექტების სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების სირთულე, რაც უმეტესად პოლიტიკური ნების არსებობასა და პირად ნაცნობობაზეა დამოკიდებული;
- კულტურის სფეროში კვალიფიცირებული ჟურნალისტების ნაკლებობა, არსებული კადრების კვალიფიკაციის ხარისხის და პროფესიონალიზაციის პრობლემა;
- კულტურის სფეროში სახელმწიფოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებათა შესახებ მედიის წარმომადგენლების, განსაკუთრებით რეგიონული საშუალებების არაინფორმირებულობა;
- კულტურის გაშუქებისას კონცენტრირება მხოლოდ დედაქალაქის მოვლენებზე, რეგიონების კულტურული ცხოვრების მიმართ ინტერესის და შესაბამისად, გაშუქების ნაკლებობა;
- რეგიონების მედია პროექტებისათვის სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების სირთულე;
- რეგიონული მედიის წარმომადგენლებს შორის პროფესიული მომზადების სერიოზული დეფიციტი.

## სამოქმედო რეკომენდაციები

➤ მედიის მხრიდან კულტურისადმი ყურადღების მიპყრობა

- სახელმწიფოს მიერ მედიის კულტურის სფეროთი დაინტერესების ხელშეწყობი პირობების შექმნა (კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტულობა, საკანონმდებლო ბაზა, დაფინანსების პირდაპირი და ირიბი ფორმების შემოღება, კერძო სექტორის წახალისება, და სხვა რეგულაციები);

- კულტურისა და მედიის მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოსა და ექსპერტული საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის მიერ ერთიანი ძალისხმევის განხორციელება, ახალი მედია საშუალებების შექმნის წახალისება;
- კულტურის პრიორიტეტების წამოწევა მდგრადი განვითარების კონტექსტში და ამ მიმართულებით სამივე (სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო) სექტორისა და მედიის თანამშრომლობის გააქტიურება;
- კულტურაში სახელმწიფო და კერძო ინვესტირების ხელშეწყობით მედიის ეკონომიკური ინტერესების აქტივაცია - მედიის როლის გაძლიერება კულტურის პოპულარიზაციაში სხვადასხვა ტელე-რადიო გადაცემებით
- კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების თაობაზე საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების მიზნებით საინფორმაციო კამპანიის ჩატარება მედიისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობით.

➤ კულტურისა და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების პროპაგანდა

- საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის გამტარებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ, მაღალი კულტურის პოპულარიზაცია, საზოგადოებაში მაღალი პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებაზე პასუხისმგებლობის აღება და გემოვნების განვითარება კლასიკური მუსიკის, საავტორო კინოს პროპაგანდით;
- საზოგადოებრივ მაუწყებელზე კულტურის სფეროს მეტი მრავალფეროვნებით წარმოჩენა, მათ შორის კონვენციის საკითხთა შესაბამისი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროგრამების შემუშავება-განვითარება, ბადეში სისტემატურად რამდენიმე მაღალკვალიფიციური პროგრამის არსებობის უზრუნველყოფა (სულ მცირე, საინფორმაციო გამოშვებებში ცალკე კულტურის ბლოკის შექმნა);
- მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალების მიერ უფრო მეტი ყურადღება და ძლიერი აქცენტი კულტურაზე, როგორც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხზე - კულტურის ბრენდინგი (პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის ჩართვა, კერძო სექტორის წახალისება);
- კულტურის სფეროს განვითარებასა და თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებაში არსებული მედია საშუალებების (რეგიონული, მუნიციპალური) კულტურის მიმართულებით საქმიანობის ეფექტურობის ზრდა: კულტურის თემაზე, მინიმუმ, სატელევიზიო მედიის, ასევე რადიო-გადაცემების, საგაზეთო რუბრიკების წახალისება, ახლის შექმნის ხელშეწყობა;
- რეიტინგულ კერძო ტელევიზიებში წარმოებულ მედიაპროდუქტში კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროგრამების წილის ზრდისათვის სახელმწიფოს მიერ ირიბი ხელშეწყობა.

➤ კულტურის სფეროს გასაშუქებლად კრიტერიუმების შემუშავებისას კვალიფიციურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

- კულტურის სხვადასხვა დარგების გაშუქებისას დარგებისა და თემების პრიორიტეტულობის განსაზღვრა მაღალი პროფესიული სტანდარტებით;
- პრიორიტეტების განსაზღვრად მედია საშუალებების მიერ არსებული ტენდენციების სისტემატური კვლევის წარმოება და მათი შედეგებით ხელმძღვანელობა, (ექსპერტულ ჯგუფებთან, კულტურულ-სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციებთან კოორდინაცია);

➤ პროფესიონალიზაცია

- კულტურის სფეროს ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო სფეროს ინსტიტუციური განვითარება (იხილეთ თავი 2, „მიმართულება - განათლება და პროფესიონალიზაცია“);



- კულტურის სფეროს ჟურნალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად შესაბამისი საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამების შემუშავება და მათი რეგულარული განხორციელება;
- ჟურნალისტების გადამზადება კულტურის სფეროში კვალიფიციური მოღვაწეობისათვის: კულტურის დარგებში დახელოვნება, საგანმანათლებლო და საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა, ექსპერტული მონაწილეობა და თვითგანვითარება.

➤ ჟურნალისტების მოტივაციის ზრდის ხელშეწყობა

- კომერციული მედია საშუალებებისათვის გარკვეული ირიბი შედეგების სისტემის შემუშავება, რომელიც წახალისებს მათ მუშაობას კულტურის დარგში;
- მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა, მათ შორის კულტურის სფეროს ჟურნალისტების თავისუფლება პოლიტიკური, სახელმწიფო, თუ კერძო გავლენებისა და ჩარევისგან, სხვა რესურსების გამოყენებით არაპირდაპირი ზეწოლისაგან;
- სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის მიერ კონვენციის პრინციპებისა და მიზნების პროპაგანდით, მედია მრავალფეროვნების ხელშეწყობით, მედიის მიერ კულტურის ღირებულებების დანერგვის ადვოკატირებით, შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებით მედიის მფლობელთა ბიზნეს ინტერესებისაგან კულტურის სფეროს დაცვა: სხვადასხვა მედია-პროდუქტის ფინანსურ მომგებიანობასა და კულტურულ ღირებულებას შორის კონფლიქტის გადაწყვეტა უკანასკნელის სასარგებლოდ;
- ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების მიერ მცირე გრანტების გამოყოფა მედიაში კულტურის პროგრამებზე;
- ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების მიერ კულტურის, განსაკუთრებით კი თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის შესაბამისი წამახალისებელი ერთჯერადი პრემიებისა და სტიპენდიების დაარსება;
- ჟურნალისტთა, კრიტიკოსთა თუ კულტურის სფეროს სხვა დარგობრივი გილდიებისა და ასოციაციების მიერ მაღალი სტანდარტების კვალიფიციური და მიუკერძოებელი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება-გავრცელებისათვის ჟურნალისტების წახალისება.

➤ რეგიონალური ტელევიზიების განვითარება

- კულტურის დეცენტრალიზაციის განხორციელება მედიის საშუალებით - დედაქალაქის მოვლენებთან ერთად, რეგიონების კულტურული ცხოვრების გაშუქების გამრავალფეროვნება;
- რეგიონალური ტელევიზიების მიერ რეგიონებში მედიის გამრავალფეროვნებისა და კულტურის პროგრამების შესაქმნელად და კონვენციის პოპულარიზაციისათვის, საერთაშორისო დონორებთან, მათ შორის იუნესკოს ფონდებთან თანამშრომლობა;
- რეგიონულ მედია საშუალებებში კულტურასა და განვითარებას შორის ურთიერთკავშირისა, კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე, ზოგადად, კულტურის პოპულარიზაციაზე ე.წ. გზამკვლევი გადაცემების ფორმატის შემუშავება, რაც მაყურებლებს მისცემს შესაძლებლობას სიღრმისეულად გაიაზრონ კულტურის რესურსების როლი საკუთარ ცხოვრებაში.

## 10. მიმართულება - კულტურული ინდუსტრიის განვითარება

### არსებული მდგომარეობა

საქართველოში კულტურის ეკონომიკის, კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება საწყის ეტაპზე იმყოფება. არ არის გამოყენებული ქვეყნის შემოქმედებითი და საწარმოო პოტენციალი;

ადგილობრივი კულტურის ბაზრის განვითარება არ არის ხელშეწყობილი; ძალზე დაბალია კულტურული საქმიანობის, კულტურის საქონლისა და მომსახურებისთვის გლობალური ბაზრის და განაწილების საერთაშორისო ქსელის ხელმისაწვდომობა.

პრობლემებიდან აღსანიშნავია კანონმდებლობის შეუსაბამობა, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, პროფესიული კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტი და ტექნოლოგიური პროცესის მოდერნიზების ნაკლებობა. რაც მთავარია, არც სამთავრობო და არც საზოგადოებრივ დონეებზე არ არის სათანადოდ გააზრებული და დამკვიდრებული შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების როლის მნიშვნელობა ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

### სამოქმედო რეკომენდაციები

- შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიის განმტკიცებისათვის კონვენციის მუხლი 10-ისა და მუხლი 14-ის შესაბამისად სისტემური მიდგომის დამკვიდრება: ინდუსტრიების განვითარებისთვის ხელშეწყობი გარემოს (კანონმდებლობა, ინფრასტრუქტურა, პროფესიული კადრებისა და ტექნოლოგიური პროცესის მოდერნიზება) შექმნა და სრულყოფა;
- კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების გაფართოებული კვლევა: ინდუსტრიის სფეროების იდენტიფიცირება, აპრობირებული საერთაშორისო მიდგომისა და მეთოდოლოგიის გამოყენება პოტენციალის შეფასებისას, რათა არ მოხდეს კულტურის მასობრივი კომერციალიზაცია, რაც საფრთხის შემცველი და დაუშვებელია.
- პრიორიტეტული სფეროების გამოვლენისას მათი განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ მოგებას, სფეროში ახალ სამუშაო ადგილების შექმნას და გარკვეული სფეროების ფინანსურ დამოუკიდებლობას;
- კულტურული ინდუსტრიის გასავითარებლად, განსაკუთრებით რეგიონებში, ბიზნეს ინკუბატორების ხელშეწყობა;
- მუნიციპალური მთავრობების მიერ ადგილობრივი ტრადიციული რეწვის ინსტიტუციური და რესურსული მხარდაჭერა;
- კვლევის საფუძველზე კულტურისა და ეკონომიკის, ინტერმინისტრიალური კომისიის, ასევე მომიჯნავე სფეროს ინსტიტუციების თანამშრომლობით კულტურისა და ეკონომიკის სტრატეგიებში კულტურის ეკონომიკის ასახვა და მათ სამოქმედო გეგმებში გაწერა. თავად შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების სფეროების სტრატეგიის და შესაბამისი ბიზნეს ინსტრუმენტების განსაზღვრა;
- შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების ადექვატური ანალიზისთვის სტატისტიკის საერთაშორისო (იუნესკო, ევროსტატი) სტანდარტების დანერგვა;
- კულტურული ინდუსტრიის სფეროში საგანმანათლებლო, ტრენინგისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელება წარმოების ტრადიციული ფორმების დაცვით;
- ადგილობრივი და რეგიონული ბაზრის მარკეტინგული კვლევა, შესაბამისი ნიშის მოძიება და ათვისება;
- საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმის გათვალისწინება საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებაში კულტურის სტრატეგიული წვლილის გათვალისწინებით;
- საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში კულტურული მომსახურებისა და კულტურული საქონლის ორმაგი ბუნების მუდმივი დაცვა, რისთვისაც გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით მთავრობამ უნდა გამოიყენოს კონვენციის მე-20 და 21-ე მუხლები.

## თავი 4. დემოკრატიული განვითარება

მიზანი 4. კულტურის დემოკრატიზაცია და კულტურაზე (შემოქმედებაზე, კვლევა-განათლებაზე, შენახვა-გავრცელებაზე, მოხმარება-გამოყენებაზე) თანასწორი ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის საფუძველზე

## 11. მიმართულება - ხელმისაწვდომობა, მდგრადობა

### არსებული მდგომარეობა

საქართველოში არსებული ეკონომიკური პრობლემები, სოციალური ფენების მკვეთრი დიფერენცირება და სიღარიბის ზღვარზე ანდა ზღვარს მიღმა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ყოფნა, ასევე კულტურული ინსტიტუციებისა და ინფრასტრუქტურის ასიმეტრიული გეოგრაფიული განაწილება და რესურსებზე არათანაბარი წვდომა, კულტურაზე ხელმისაწვდომობის ძალზე მნიშვნელოვან დისპროპორციას, უთანაბრობას იწვევს.

გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო მოქალაქეთა კულტურულ პროცესში თანაბარი მონაწილეობისა და შედეგით სარგებლობის უფლების განხორციელების შესაძლებლობის შეზღუდვა;
- კულტურის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებისათვის არსებულ რესურსებზე წვდომის უთანაბრობა;
- სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის მიერ კულტურასა და მდგრად განვითარებას შორის კავშირის არასაკმარისი გაცნობიერება; კულტურის რესურსის გამოუყენებლობა სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; შესაბამისად, კულტურის მდგრადი განვითარებისათვის წინაპირობის არარსებობა;
- არასამთავრობო სექტორში მდგრადი, ხანგრძლივი კულტურული პროექტების სიმცირე.

### სამოქმედო რეკომენდაციები

- მდგრად განვითარებაში კულტურის მნიშვნელობის დასამკვიდრებლად სამთავრობო სტრუქტურების სინერგია და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა, ადვოკატირება.
- სამივე სექტორის (სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო) ერთობლივი ძალისხმევით მიმართვა კონვენციის 14-ე მუხლის შესაბამისად, იმ სფეროებში, რომლებიც მდგრადობის წინაპირობის შემქნელია კერძოდ, დაკავშირებულია, სტრატეგიულ და მმართველობით შესაძლებლობებთან, პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებასთან, კულტურული თვითგამოხატვის წახალისებასა და გავრცელებასთან, მცირე, საშუალო და მიკრო საწარმოების ჩამოყალიბებასთან, ტექნოლოგიების გამოყენებასთან და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და გადაცემასთან;
- ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების მიერ პროფესიონალების სხვადასხვა თაობისთვის ცენტრალურ/მუნიციპალურ ინფრასტრუქტურასა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა-გაფართოება კულტურული პროდუქტის შექმნისა და კულტურული მომსახურების განსახორციელებლად.

## 12. მიმართულება - კომუნიკაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა / ინფორმირებულობა

### არსებული მდგომარეობა

საქართველოში ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით არაერთი სირთულე არსებობს. სექტორთაშორის და დარგთაშორის კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაკლებობა ქმნის პრობლემებს სხვადასხვა დონეზე, კერძოდ სუსტია:

- კომუნიკაცია მთავრობასა და კულტურის სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, განსაკუთრებით რეგიონებში;
- კომუნიკაცია მთავრობასა და მედიას შორის;
- კომუნიკაცია კულტურის არასამთავრობო სექტორსა და მედიას შორის;
- კომუნიკაცია კულტურის არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის;
- ზოგადად, პრობლემები საზოგადოებასთან ურთიერთობების კუთხით კულტურის სფეროში;
- კულტურის სფეროში სტრატეგიული საკითხებზე ინფორმაციის ასიმეტრიულობა (მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი ყურადღების ნაკლებობა);
- კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებზე საზოგადოების, მედიის და თავად სფეროს შიგნით დარგების წარმომადგენელთათვის ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა/სიმწირე;
- კონვენციის შესახებ საზოგადოების, ასევე თვითმმართველობებისა და სამთავრობო ინსტიტუციებში ინფორმაციის სიმწირე ან/და არაზუსტი ინფორმირება (მაგალითად, ა) კონვენციის, როგორც მხოლოდ უმცირესობათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტის წარმოჩენა; ბ) სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების მხოლოდ კულტურის სფეროსათვის, კერძოდ, კულტურის სახელმწიფო ინსტიტუციებისათვის დაკისრება).

### სამოქმედო რეკომენდაციები

- სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ კონვენციის კომპლექსურობის გაცნობიერება და შესაბამისად, იმპლემენტაციაზე ერთობლივი პასუხისმგებლობის გაზიარება;
- ინტერმინისტრიალური ჯგუფის მიერ სპეციალური საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის შექმნა, რომელიც მაქსიმალურად მოიცავს საქართველოს მოსახლეობას და გააცნობს მას კონვენციის შინაარსს და მნიშვნელობას, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებს; და რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას;
- მედიის და არასამთავრობო სექტორის მიერ ამ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამაში ჩართვა და კონვენციის მიზნების და პრინციპების შესაბამისად კულტურის ღირებულებათა აქტიური პროპაგანდა;
- სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების მიერ არსებულ მდგომარეობასთან მიმართებაში ინფორმაციის გაცვლა და თანმიმდევრული კომუნიკაცია კონვენციის განხორციელების ერთობლივი გეგმის შესამუშავებლად;
- სახელმწიფოს მიერ კონვენციის იმპლემენტაციისათვის სოციოლოგიური კვლევების ჩატარება და სტატისტიკური მონაცემების გასაჯაროება;
- ქვეყნის განვითარებისთვის კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობის გაცნობიერებისათვის და კონვენციის თაობაზე საზოგადოებაში ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად, თავად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კულტურაში უფლებებისა და მათი გამოყენების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- კონვენციის თემაზე ადვოკატირების კამპანიების (ასეთების წარმოების შემთხვევაში) თაობაზე ინფორმაციის გავრცელება;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის გავრცელება, რეგიონული შეხვედრების, პრესის ჩართულობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერებით;
- მედიის მხრიდან კულტურის სფეროსთან კომუნიკაციის გაძლიერება;
- მედიის მიერ დისკუსიების ინსპირირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კულტურის სფეროში.

### 13. მიმართულება - დეცენტრალიზაცია

## არსებული მდგომარეობა

საქართველოს მთავრობის მიერ (გაანკარგულება #223) 2013 წლის 1 მარტს, მიღებული დოკუმენტის - „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013—2014 წლებისთვის“ - შესაბამისად დეკლარირებულია დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას, მათ შორის კულტურის სფეროშიც. ეს პროცესი სამოქალაქო და ბიზნეს სექტორებთან თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, რეალურად არსებობს პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ზოგადად კულტურაზე და შესაბამისად, კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნებაზე. ამასთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი:

- საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ასიმეტრიულობა და შესაბამისად, მისი იმპლემენტაციისას კულტურული დემოკრატიზაციის პროცესის დაბრკოლება;
- დეცენტრალიზაციის პროცესის არაეფექტურობა, ადგილობრივი თვითმმართველობის სისუსტე
- ადგილებზე რეალური ბერკეტების არქონა, ანდა მათი გამოყენების არცოდნა:
  - კულტურის დაფინანსების სიმცირე და გაუმჭვირვალობა;
  - კულტურის სფეროს მენეჯმენტის ხარისხის პრობლემა და სხვა.
- შემოთავაზებისა და მოთხოვნის შესაბამისობის კონტექსტში კულტურული პროდუქტის, მომსახურებისა და საქმიანობის სფეროში არსებული დაგეგმვის პრობლემა: რამდენად პასუხობს ცენტრში/მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი კულტურული საქმიანობა ადგილებზე მოქალაქეების სურვილებს, რეგიონების განსხვავებულ კულტურულ მოთხოვნებს;
- ეთნიკურ უმცირესობათა მხრიდან დეცენტრალიზაციის ხარისხის მიმართ უკმარისობის განცდა, უარყოფითი დამოკიდებულება.

## სამოქმედო რეკომენდაციები

- გადასაწყვეტია კულტურის დეცენტრალიზაციის განხორციელების მოდელის ტიპი:
  1. კულტურული ქმედებების გავრცობა-დეცენტრალიზაციის მიმართულება, თუ
  2. მართვის დეცენტრალიზაციის და ადმინისტრირების მიმართულება.
- შერჩეული მოდელის საფუძველზე კულტურის დეცენტრალიზაციის კონცეფციის შემუშავება; სახელმწიფოს მიერ მიღებულ სტრატეგიაში მისი ინტეგრირება;
- თვითმმართველობის ახალი კოდექსის შესაბამისად ადგილობრივი სპეციფიკის ამსახველი რეგიონული და მუნიციპალური კულტურის „პოლიტიკების“ და პრაქტიკების განვითარება-დანერგვა;
- კულტურის დეცენტრალიზაციის კონცეფციაში საკითხის დასმა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს რეალურ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას. ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებამდე შესაძლებელია დეცენტრალიზაციის ფრანგული მოდელის გამოყენება, ანუ დეცენტრალიზაცია პოლიტიკური შემაღენლით (ადგილებზე ძლიერი წარმომადგენლების არსებობით);
- ამ ტიპის დეცენტრალიზაციის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოში დაფინანსების რომანული პრინციპის განხორციელება (კერძოდ, სუბსიდირებული ორგანიზაციების დაფინანსების 50%-ზე მეტი წილი მოდის ცენტრალურ ბიუჯეტზე);
- საგადასახადო გამიჯვნისას ყველა დონეზე უნდა იყოს გათვალისწინებული თანხები კულტურისათვის. სასურველია, ადგილობრივ დონეზე კულტურის სფეროსათვის თანხები გაზრდილი იყოს (შესაძლოა, საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე სპეციალური მიზნობრივი მოსაკრებლების შემოღება კულტურისა და კულტურის ეკონომიკის გასავითარებლად);
- ეთნიკური უმცირესობების, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლების რეგიონებსა და ადგილებზე კულტურული დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიზაციის განსახორციელებლად ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარება და მათ საფუძველზე სუვერენიტეტის პრინციპზე დამყარებული კულტურის პოლიტიკის გატარება, რომელიც სრულყოფილად მოიცავს კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის საკითხებს (იხ. „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები“. 2011; „ეროვნული

უსაფრთხოების კონცეფცია“, თავი 11. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული და კულტურული თვითმყოფობის უზრუნველყოფა, 2010).

## 14. მიმართულება -სამოქალაქო და კულტურული ინტეგრაცია

### ა) კულტურათაშორისი დიალოგი

#### არსებული მდგომარეობა

საქართველოს, როგორც მრავალეროვანი სახელმწიფოს ნაციონალური ინტერესი და პასუხისმგებლობაა ჰქონდეს ჰარმონიული და კულტურული ერთიანობის განმსაზღვრელი კულტურათაშორისი დიალოგი ქვეყნის შიდა სივრცეში და თანასწორ და მეგობრულ თანამშრომლობაზე ორიენტირებული საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები გლობალური მასშტაბით.

საქართველოში ინტერკულტურული დიალოგის ისტორიული გამოცდილება ქმნის პოზიტიურ ნიადაგს დღევანდელ, რისკებით აღსავსე გეოპოლიტიკურ გარემოში, შეინარჩუნოს მშვიდობიანი და განვითარებაზე ორიენტირებული მრავალმიმართულებიანი საკომუნიკაციო კულტურული პროცესი: ხელოვანებისათვის, კულტურული ორგანიზაციებისათვის, სხვადასხვა უმცირესობების ჯგუფების წარმომადგენლებისათვის არსებობს დაუბრკოლავი შესაძლებლობა გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება და განავითარონ საკუთარი კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნება, ჩაერთონ ხელოვნების სხვადასხვა დარგების კულტურული პროდუქტის წარმოება- მოხმარებაში და გაავრცელონ საკუთარი კულტურული ღირებულებები.

საერთაშორისო კონტექსტში, ევროინტეგრაციის სტრატეგიული მიმართულებისათვის, მშვიდობისა და ნდობისათვის კულტურათაშორისი დიალოგი უმნიშვნელოვანესია. ამდენად, ინტერკულტურული დიალოგისათვის საფრთხის შემცველი პრობლემები ძალზე სენსიტიურია. კერძოდ:

- შემწყნარებლობის ნაკლებობა;
- განათლების დაბალი დონე და სოციალურ-ეკონომიური დაცულობის გრძნობის არარსებობა, როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობების წარმომადგენელთა უმეტეს ნაწილში;
- ენობრივი ბარიერის პრობლემა ეთნიკურ უმცირესობებში, რაც აფერხებს ინტეგრაციას და ინფორმირებულობას;
- ინფორმაციის ნაკლებობა ანდა არაზუსტი ინფორმაცია ერთმანეთის ისტორიასა თუ კულტურაზე გვერდიგვერდ მცხოვრებ უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის;
- კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების პატივისცემის პროპაგანდის ნაკლებობა;
- რთული გეოპოლიტიკური გარემოსა და სხვადასხვა პლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების მქონე, მათ შორის, გარე ძალების ზეგავლენის წნეხი, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებზე;
- გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართულობის ნაკლებობა.

#### სამოქმედო რეკომენდაციები

- ადამიანებისა და ჯგუფების საკუთარ კულტურულ ღირებულებათა და შესაძლებლობათა გამოსახატავად ხელშემწყობი გარემოს შექმნა ადამიანების უფლებების დაცვით, განათლებისა და კვალიფიცირების ხელშეწყობით;

- უმცირესობათა ჯგუფების კულტურული ინტეგრაციისა და სოციალური ერთობის პროცესის ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური ფონის საერთო გაუმჯობესებითა და ენობრივი ბარიერის დაძლევის გზით;
- ორმხრივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების ხელშეწყობა, როგორც უმცირესობების, ასევე უმრავლესობის წარმომადგენელთათვის და მათი ჩართულობით;
- ეთნიკური ჯგუფების მიერ კრეატიული იდეებისა და პროექტების განხორციელება, მათი ხელშეწყობით ქვეყნის კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების განვითარება;
- ეთნიკურ უმცირესობათათვის ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა, როგორც სახელმწიფო ენაზე, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის სპეციალური პროგრამებით - მშობლიურ ენაზე;
- უმცირესობების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში;
- ინტერკულტურული განათლების განვითარება ახალგაზრდა თაობისათვის (მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის);
- შემწყნარებლობის დეფიციტის აღმოსაფხვრელად და კულტურათა ურთიერთპატივისცემის გასავითარებლად სკოლის ასაკიდან არაფორმალური განათლების წარმოება; ინტერკულტურული ბანაკების, როგორც ტოლერანტობის ხელშეწყობი ინსტრუმენტის შექმნა ბავშვებისა და მოზარდებისათვის; ამ მიზნით ვოლონტირობის გამოყენება-განვითარება;
- ყველა კულტურის თანასწორი ღირსებისა და პატივისცემის პრინციპის, ასევე კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების ღირებულების პროპაგანდა მედია საშუალებებით;
- კულტუროლოგიური და ფსიქო-სოციოლოგიური კვლევების ჩატარება შემდეგი მიმართულებით: *საქართველოს კულტურის, როგორც პოლიკულტურული სივრცის კვლევა; ქართული კულტურული იდენტობის კვლევა; ქართული კულტურის განვითარების განსაზღვრა გლობალიზაციის პროცესებთან მიმართებით.*

## ბ) სამოქალაქო აქტივობა

### არსებული მდგომარეობა

დღეს კულტურის სექტორს ცნობიერების დაბალი დონე, ინიციატივების მხრივ პასიურობა და საკმაოდ დაბალი სამოქალაქო აქტივობა ახასიათებს. მიუხედავად განხორციელებული აქციებისა და მწვავე დისკუსიებისა ბაგრატის ტაძრის, საყდრისის თუ გუდიაშვილის მოედნის თაობაზე, ეს უფრო გამონაკლისი შემთხვევებია; ზოგადად, კულტურის სფერო სამოქალაქო აქტივიზმის სისტემატიურობითა და მონაწილეთა სიმრავლით არ გამოირჩევა. ეს განპირობებულია ფსიქო-სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის მრავალი მიზეზით, ასევე გარდაქმნების მიმართ გარკვეული ნიჰილისტური თუ კონფორმისტული დამოკიდებულებით და სხვა. სამოქალაქო აქტიურობის ნაკლებობა ასევე განპირობებულია:

- კვალიფიციური ინიციატივების ერთჯერადი ხასიათით, მდგრადობის შენარჩუნების შეუძლებლობით; ამ კონტექსტში არასამთავრობო და თვითორგანიზებული ჯგუფების ძალისხმევის არაეფექტურობით;
- მდგრადობის გარანტიად მხოლოდ სახელმწიფოს, მთავრობის მიჩნევით; შესაბამისად, პასიური და მომლოდინე პიზიციის დაკავება, უინიციატივობა;
- სახელმწიფო მხარდაჭერის ობიექტური აუცილებლობით, რომლის გარეშეც არსებული ეკონომიკური მდგომარეობის და ბაზრის გათვალისწინებით კულტურის, განსაკუთრებით კლასიკური ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობისა და სახელოვნებო განათლების განვითარება, შეუძლებელია;
- გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართვის არაეფექტურობითა და მცდელობების შეზღუდვით;

- პასუხისმგებლობის გაზიარებისგან თავის შეკავებით; მოტივაციისა და კერძო ინიციატივის არარსებობით;
- გამაერთიანებელი იდეების ნაკლებობითა და კულტურული იდენტობის სისუსტით;
- კონვენციით დაკისრებული და სახელმწიფოს მიერ აღირებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის ვერ ან არ გააზრება.

### სამოქმედო რეკომენდაციები

- კულტურის, როგორც სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ეროვნული იდენტობის მაფორმირებელი ინსტრუმენტის დასამკვიდრებლად სამოქალაქო აქტივიზმის გამოვლინება;
- კულტურის სფეროში ინიციატივების მდგრადობის უზრუნველსაყოფად სამთავრობო დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში პროფესიონალთა ჩართულობის გასაზრდელად და პოლიტიკური ნების ჩამოსაყალიბებლად სამოქალაქო სექტორის მიერ თვითორგანიზების უნარის გამომუშავება სამოქალაქო პოზიციის სისტემატური დაფიქსირება;
- სამოქალაქო აქტივობით კულტურის სექტორის სახელმწიფოზე ზემოქმედების შესაძლებლობის დემონსტრირება და მასთან ერთად პასუხისმგებლობის განაწილება/გაზიარება;
- საზოგადოების კულტურული ინტეგრაციისათვის კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინების აუცილებლობის დემონსტრირება, პრობლემათა ადვოკატირების უზრუნველყოფა;
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი მონაწილეობის და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართულობის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უფლებათა დამცველ აქტივისტებთან, გარემოსდაცვით და სხვა ჯგუფებთან კულტურის სფეროს აქტივისტების გაერთიანება, ძალების კონსოლიდირება;
- კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად და კონვენციის სხვა საკითხების რეკლამირებისა და დაწინაურებისათვის ვოლონტიორული ახალგაზრდული ჯგუფების წახალისება და სხვა უფლებადაცვით ჯგუფებთან კოოპერირება;
- საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად კონვენციის პრინციპებისა და ღირებულებების სისტემატიური პროპაგანდა და პოპულარიზაცია, ამისათვის სამოქალაქო აქტივობის წარმართვა და ხელშეწყობა, საჭიროების შემთხვევაში მისი ინსტიტუციონალიზაცია;
- ქვეყნის განვითარებისთვის კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობის გაცნობიერების საქმეში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა და კონვენციის განხორციელების ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაციათა პლატფორმის შექმნა:
  - არასამთავრობო ორგანიზაციათა პლატფორმამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს, როგორც შუალედურმა რგოლმა სახელმწიფო სტრუქტურებსა და საზოგადოებას შორის; როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომლობისა და საერთო ინტერესების დამცავმა კოალიციურმა ერთობამ, რომელმაც: ა) უნდა დაიწყო კონვენციის პოპულარიზაცია და მისი ძირითადი მიზნებისა და პრინციპების პროპაგანდა; ბ) უნდა გააფართოვოს ქსელი; გ) განავითაროს კონვენციის ძირითადი იდეის გარშემო პარტნიორთა წრის თვითორგანიზება თითოეული წევრის ინტერესთა საფუძველზე;
  - ახალგაზრდობის კულტურული თვითგამოხატვის უზრუნველსაყოფად მოახდინოს აქტიურობის, თვითორგანიზების წახალისება, და ინსტიტუციური თვითსტრუქტურირების ხელშეწყობა.

## გ) სოციალური ინტეგრაცია

### არსებული მდგომარეობა

საქართველოში მძიმე სოციალურ ფონის მიუხედავად არსებობს სოციალური ერთობის გარკვეული კულტურა. სწორედ მან, მიუხედავად სამოქალაქო ომისა, ოკუპაციისა თუ ეკონომიკური კრიზისისა, მნიშვნელოვნად შეამსუბუქა გასული ოცდახუთი წლის უმძიმეს გამოწვევებთან გამკლავება. და მაინც, განსავითარებელია სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის ინსტრუმენტები, როგორც



სახელწიფო, ასევე სამოქალაქო დონეზე და მზარდი სოციალური სტრატეგიკაციის ფონზე გასაზრდელია აქტივობა კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დასაცავად.

## სამოქმედო რკომენდაციები

### სოციალური ერთობა

- სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის კულტურული პროდუქტისა და მომსახურების თანაბარი გადანაწილების უზრუნველყოფისათვის სპეციალური პროგრამების შემუშავება-განხორციელება;
- ურბანული კულტურის, როგორც სოციალური ინტეგრატორის, ხელშეწყობა; საჯარო სივრცეების ხელოვნების განვითარება სოციალური ერთობის ასამაღლებლად;
- რეგიონებში ადგილობრივი სახალხო სანახაობების, თუ ქუჩის ხელოვნების აქციების ორგანიზებისას მოხალისეობის კულტურის დანერგვა, შემდგომში ამ უნარების გაძლიერებისა და თვითრეგულირების ხელშეწყობა.
- სოციალური ერთობისთვის იძულებით გადაადგილებულ პირთა სუბკულტურის სათანადო შესწავლა, ანალიზის საფუძველზე მათ საჭიროებებზე ორიენტირებული სოციო-კულტურული პროექტების ორგანიზება, ხელშეწყობა, განსაკუთრებით განათლების, კვალიფიკაციის, ცოდნის გაცვლისა და კულტურული ინდუსტრიების განვითარების მიმართულებით.

### სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები

- ახალგაზრდობაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული პროექტების ხელშეწყობა;
- ბავშვების, როგორც ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, განსაკუთრებული ხელშეწყობა და მათი კულტურული თვითგამოხატვის წახალისება;
- სხვადასხვა ასაკის ჯგუფებს შორის კულტურული დიალოგის წარმოების ხელშეწყობა, გამოცდილების გაზიარება;
- რეგიონებში ახალგაზრდა და ასაკოვან ხელოვანთათვის სასტიპენდიო და მცირე გრანტების პროგრამების უზრუნველყოფა თვითმმართველობების და კერძო სექტორის მიერ;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მათი უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კონკურსების, სხვადასხვა თემატიკის ვორქშოპების ორგანიზება, რომელიც დაეხმარება მომდევნო პროექტების შედგენაში, დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიებაში და რეგიონული პროექტების განხორციელებაში, რაც შესაბამისად, ხელს შეუწყობს თვითგამოხატვას და განავითარებს, დაბოლოს, მიმზიდველს გახდის თავად რეგიონს შემოქმედებითი კუთხით.

### ინკლუზია

- შშმ პირების კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობა, გაშუქება, რეკლამირება;
- შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა;
- შშმ პირთა საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა კულტურულ პროექტებში
- ჩართულობის გზით - თავად სამიზნე ჯგუფების აქტიური და კრეატიული წარმომადგენლების იდეების და საჭიროებების შესწავლა და მათზე დაფუძნებული პროექტების განხორციელება, ანდა მათი ხელშეწყობა;
- შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა სოციო-კულტურული პროექტების მხარდაჭერით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არა მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანები, არამედ ყველა მსურველი მათთან ერთად.

### გენდერული თანასწორობა

- ქალთა შემოქმედების წახალისება, კულტურული თვითგამოხატვის ფორმების პოპულარიზაცია;
- ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში, განსაკუთრებით მაღალ მმართველობით დონეებზე;
- გენდერული ბალანსის დაცვა კულტურის სფეროს საშუალო დონეზე მამაკაცთა ჩართულობის ზრდით.

## თავი 5. გლობალურისა და ლოკალურის ბალანსი

მიზანი 5. საერთაშორისო სოლიდარობასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული საერთაშორისო პოლიტიკის წარმოება მობილობის, ცოდნისა და ინფორმაციის გაცვლა-გაზიარების, პრეფერენციული რეჟიმის ეფექტური გამოყენების გზით

### 15. მიმართულება - საერთაშორისო ურთიერთობები

## არსებული მდგომარეობა

საქართველოს საერთაშორისო კულტურის პოლიტიკა ეფუძნება საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას, და მიზნად ისახავს მდიდარი კულტურული და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩინებით ხელი შეუწყოს ქვეყნის პოპულარიზაციას, მისი პოზიტიური იმიჯის და მსოფლიო კულტურულ პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფას.

საქართველოს საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების უმნიშვნელოვნესი ნაწილია ევროინტეგრაციის სტრატეგიის შესაბამისად 2013 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებით (თავი 17, მუხლი 362) განსაზღვრული ვალდებულებების აღსრულება. ამასთან კონვენციის იმპლემენტაცია და მისი პრინციპების, როგორცაა ყველა კულტურის თანასწორი ღირსებისა და პატივისცემის პრინციპი, საერთაშორისო სოლიდარობისა და თანამშრომლობის პრინციპი, თანასწორი ხელმისაწვდომობის პრინციპი, განხორციელება საქართველოს აახლოებს მიზანთან - ინტეგრაციასთან ევროპის კულტურულ სივრცეში სამართლებლივი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნით, რომელშიც გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება, მაღალი ხარისხის კულტურული პროდუქციის შექმნა და მომხმარება.

ამ მიზანთა მიღწევა სხვადასხვა გამოწვევებთან არის დაკავშირებული:

- რეალური რაობის გააზრების ნაკლებობა, კულტურის სფეროს სირთულეთა და გამოწვევაზოგადობებისა და მთავრობის არასრულფასოვანი მზაობა ევროინტეგრაციისათვის კვალიფიკაციის, ცოდნისა და ინსტიტუციური განვითარების კუთხით;
- ღირებულებათა და პასუხისმგებლობათა სისტემის სიმციფე;
- გლობალიზაციის ვათა მწყობრი ანალიზის და, შესაბამისად, გადალახვის გზების სტრატეგიის არქონა;
- წარმატებული გამონაკლისების გარდა, საქართველოს კულტურის სექტორში (იგულისხმება მთელი ქვეყნის მასშტაბით გაშუალებული მდგომარეობა) საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის არქონა;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის არარსებობის გამო ამ ტერიტორიებზე კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაუცველობა და კულტურული მემკვიდრეობის განადგურების საფრთხის ქვეშ ყოფნა. პრევენციული რეჟიმების გამოყენების შეუძლებლობა.

## სამოქმედო რეკომენდაციები

- საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ორმხრივი, რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც შეესაბამება კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების ხელშეწყობას (მუხლი 12-ის შესაბამისად);
- სახელმწიფოს მიერ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში გაწევრიანების, სტაბილური მონაწილეობის მხარდაჭერა;
- გლობალიზაციის კულტურული განზომილების ანალიზი - შესაძლებლობათა და საშიშროებათა კარტირება საქართველოს კულტურული იდენტობის განვითარებისა და გეოპოლიტიკური სიტუაციის კონტექსტში;
- საქართველოს მსოფლიოში დაბალანსებული კულტურული თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, კულტურათაშორისი დიალოგის ხარისხობრივად ამაღლება, გააქტიურება კულტურათაშორისი პატივისცემის და მშვიდობის კულტურის განვითარების თვალსაზრისით;
- საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს კულტურისა და ხელოვნების კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, მენეჯმენტისა და მარკეტინგის განვითარებით;
- საქართველოს კულტურის ბრენდირება - საქართველოში ბაზრობების, ფესტივალების, კონკურსების, კონფერენციების და მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ღონისძიებების გამართვის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობისა და კოპროდუქციის ხელშეწყობა;

- პრეფერენციული რეჟიმის გამოყენების (განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე) ასამუშავებლად საერთაშორისო დონეზე პოლიტიკური და კულტურული აქტივობების განხორციელება, მოლაპარაკებათა წარმოება საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეულ ქვეყნებთან;
- სამთავრობო, სამოქალაქო, ბიზნეს სექტორებისა და საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან ურთიერთობითა და სინერგიით, საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

## 16. მიმართულება - ხელოვანთა მობილობა და კულტურული პროდუქტის თავისუფალი გადაადგილებისა და მიმოქცევის საკითხები

### არსებული მდგომარეობა

საქართველოში თავისუფალ ხელოვანთა სტატუსის არარსებობა და ინდივიდუალურად არტისტისათვის სხვადასხვა შეღავათების სისტემის არარსებობა საკმაოდ რთულ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოს უქმნის თანამედროვე ხელოვნების განვითარებას. ახალგაზრდა პერსპექტიულ ხელოვანთა გადინება ქვეყნიდან და სფეროში კადრების დაბერება ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, კადრების დაბალი კვალიფიკაცია და კრეატიულობა, კულტურული განვითარების კრიზისს წარმოშობს. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მხატვართა მობილობის ხელშეწყობა, რაც წახალისებს კულტურულ გაცვლებს, ცოდნისა და კულტურული წარმოების მიმოქცევას და შექმნის ღია და განვითარებად არტ ბაზარს. პრობლემები ძირითად ორ ჯგუფად - შიდა და გარე პრობლემებად იყოფა:

#### 1. ქვეყნის შიდა პრობლემა - ფინანსებისა და ეკონომიკური მდგომარეობის პრობლემა

- ხელოვანთა ეკონომიკური მდგომარეობის სიმძიმე - სახელმწიფოს მიერ შემოქმედებითი მუშაკებისა და კულტურული თვითგამოხატვის საქმიანობაში ჩართული ადამიანების არასაკმარისი წახალისებასა და მხარდაჭერა;
- ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე ხელოვანთა მობილობის შესაძლებლობების ნაკლებობა და საერთაშორისო კულტურულ ასპარეზზე საქართველოს წარდგენა არა უფრო ნიჭიერთა და საუკეთესოთა, არამედ ეკონომიკურად უფრო უზრუნველყოფილ, მაგრამ ზოგჯერ ნაკლებ ნიჭიერ წარმომადგენელთა მიერ ხდება;
- ფინანსური ასპექტის გამო ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლის შემდგომ საქართველოში დაბრუნებაზე უარის თქმა.

#### 2. ქვეყნის გარე პრობლემა - საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების პრობლემა

- საერთაშორისო კონვენციით აღებული პასუხისმგებლობა განვითარებადი ქვეყნების მიმართ (კერძოდ, საქართველოს მიმართ) პრეფერენციული რეჟიმის განხორციელების თაობაზე სწრაფ ვიზალიბერალიზაციას არ გულისხმობს;
- მიგრაციის გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით და ტერორიზმის საფრთხეთა ფონზე, სხვადასხვა ქვეყნების არსებული დააჩქაროს ვიზალიბერალიზაციის პროცესი.

### სამოქმედო რეკომენდაციები

- **კულტურული მობილობის ეკონომიკური საკითხის მოსაგვარებლად:**
- თავისუფალ ხელოვანთა სტატუსის შემოღება და შესაბამისად, არტისტისათვის სხვადასხვა შეღავათების სისტემის შექმნა;

- მრავალფეროვანი სტიპენდიების და აკადემიური შემოქმედებითი მივლინებებისა და გაცვლითი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- რეზიდენციების პროგრამის შემუშავება და ხელშეწყობა (სივრცეების, ფინანსების, მასალების, ტექნიკის და ა. შ. უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება) კერძო სექტორთან თანამშრომლობით;
- მობილობის მხარდაჭერა სამგზავრო გრანტების, ფინანსური მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმების საშუალებით.
- **თავისუფალი გადაადგილების პრობლემის გადაჭრა**
- საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა მხრიდან შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუციებისა და სხვადასხვა ქვეყნების მიმართ ხელოვანთათვის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობის ერთობლივი და სისტემური მოთხოვნით;
- უვიზო რეჟიმის შემოღების დაჩქარება საქართველოს მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკის გააქტიურებით;
- არტისტებისთვის შეღავათიანი სავიზო რეჟიმის საკითხის წინ წაწევა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის საშუალებით.

## 17. მიმართულება - ინფორმაციის, გამოცდილებისა და ცოდნის გაცვლა და ექსპერტული გამოცდილების გაზიარება

### არსებული მდგომარეობა

კულტურის სფეროში კვალიფიკაციისა და განათლების, ასევე ექსპერტული გამოცდილების სიმწირე მომავალი განვითარებისათვის ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია. მობილობასთან ერთად ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია საერთაშორისო ურთიერთობებში.

### სამოქმედო რეკომენდაციები

- საერთაშორისო პარტნიორული თანამშრომლობის ზეგავლენის გაძლიერება;
- საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობის სტიმულირება ინფორმაციის გაცვლის გაფართოების, კულტურული ურთიერთგაგების გაუმჯობესების და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების წახალისების მიზნით;
- საერთაშორისო მოთამაშეთა შორის თანამშრომლობა და ამ პროცესში პარტნიორი ქვეყნების შეხედულებების გათვალისწინება;
- არსებული ნაკლებად ეფექტური ფორმატის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებების გასაუმჯობესებლად მათი შინაარსის გადახედვა და განახლება;

ხელშეკრულებების დადება ერთობლივი წარმოების და განაწილების შესახებ, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას და „ნოუ-ჰაუს“ გაცვლის თაობაზე;

- ურთიერთხელსაყრელი გზებისა და ფორმატების მოძიება საერთაშორისო გამოცდილების შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების თავმოსაყრელად, მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიტიკური, სტრატეგიული, სტატისტიკური მასალების გაცნობა და მათგან რეკომენდაციების მიღება.
- განვითარებული ქვეყნებისაგან საერთაშორისო სოლიდარობისა და თანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით, ისეთი შესაძლებლობების (სერვისებისა და რესურსების) მიღება, რომლებიც დაეხმარება საქართველოს კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმების განმტკიცება-განვითარებაში, და კულტურის ინდუსტრიის, როგორც ჩამოყალიბების ფაზაში მყოფის, ასევე უკვე არსებულის, ადგილობრივ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეებზე გატანა-დამკვიდრებაში.



## დანართი I

### დოკუმენტის შემუშავების მეთოდოლოგია

2015 წლის თებერვალ-ოქტომბერის თვეებში ჩატარდა კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა კონვენციის მიმართებით დედაქალაქსა და რეგიონებში განხორციელებული კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტების შესწავლასა და ანალიზს, აგრეთვე რეკომენდაციებს მომავლისათვის.

**კვლევის ორგანიზება** განხორციელა ა(ა)იპ ვალ. გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდულმა კავშირმა, რომლის საქმიანობა მოიცავს კულტურის პოლიტიკის სფეროში კვლევასა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებას, კურატორულ პრაქტიკას, საერთაშორისო ინტერკულტურული პროექტების ორგანიზებას, კულტურისა და ხელოვნების სფეროში განათლების დონის ამაღლებას, ქართული კულტურის პოპულარიზაციას, ხელოვნების სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების განხორციელებას.

**კულტუროლოგიური კვლევის ჯგუფი** შედგებოდა კულტურის სფეროში მოღვაწე დამოუკიდებელი, არასამთავრობო და კერძო სექტორში დასაქმებული კულტურის მენეჯერებისგან, მკვლევარებისგან, ხელოვნებათმცოდნეებისა და კურატორებისგან.

მათ გააჩნიათ ინტერდისციპლინარული კვლევის გამოცდილება: კულტურის პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა, იუნესკოს კონვენციების სფეროებში მუშაობის და მენეჯმენტისა და ფოკუს ჯგუფების წარმოების ერთობლივი გამოცდილება

კულტუროლოგიური ჯგუფის წევრები არიან:

**ნინო გუნია - კუხნეცოვა** - სცენოგრაფი, კურატორი და კულტურის პოლიტიკის მკვლევარი, კულტურის პოლიტიკის სფეროში მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე, OISTAT საქართველოს ნაციონალური ცენტრის - ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირის აღმასრულებელი დირექტორი. კვლევები: ქ. თბილისის განვითარების სტრატეგიული გეგმისთვის კულტურისა და ტურიზმის კონცეფციის შექმნა (კულტურის გადარჩენის ფონდის პროექტი (2004 წ., ავტორი, კოორდინატორი, ექსპერტი); ქ. ახალციხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია 2005-2011 წწ (ფონდ ჰორიზონტის პროექტი, 2004 წ., ექსპერტი კულტურის დარგში), 2005 წლიდან დღემდე საქართველოს კულტურის პოლიტიკის ეროვნული რაპორტების ავტორი Council of Europe/ERICarts ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი `Compendium of Cultural Policies and Trends in Europe ([www.culturalpolicies.net](http://www.culturalpolicies.net)), 2013 წ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურის პოლიტიკის კონცეფციის სამუშაო ჯგუფის წევრი.

**მაია ნიკოლაიშვილი** - ლონდონის ეკონომიკის სკოლის (LSE) განვითარებადი ქვეყნების პოლიტეკონომიის მაგისტრი, კულტურის მენეჯერი, ევროპის სახლის აღმასრულებელი დირექტორი. მისი მრავალწლიანი ანალიტიკური საქმიანობა მოიცავს შემდეგ კვლევებს: ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით საპარლამენტო საქმიანობის ანალიზი, მედიის ანალიზი Open Source Center-ში და „ბი-ბი-სი მონიტორინგში“ მუშაობისას, დამოუკიდებელი კვლევები ბულგარეთის ლიბერალური სტრატეგიების ცენტრისთვის და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტისთვის.

**ანა ასათიანი** - საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის სპეციალისტი, რეჟისორი. ამჟამად მუშაობს გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) პროექტში, კომუნიკაციების, საზოგადოების ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ადგილობრივი ექსპერტის პოზიციაზე;

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -საქართველო პროექტში: 'პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის' კომუნიკაციების და ცნობიერების ამაღლების ექსპერტი; საქართველოს გაეროს ასოციაციაში - პროგრამების განვითარების ოფიცერი. 2013 წლის დეკემბრამდე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო და ქართული კულტურის პოპულარიზაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის რანგში მუშაობდა რეგიონალურ და საერთაშორისო პროექტებზე, რომელთა მიზანს კულტურათაშორისი დიალოგი, ქვეყნის პოპულარიზაცია, პოზიტიური იმიჯის შექმნა და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენდა; რამდენიმე წელი იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-4 პლატფორმის ხალხთა შორის კონტაქტის კოორდინატორი. მისი მეთხე პლატფორმის კოორდინატორის რანგში მოგვაწეობის პერიოდში საქართველოში ჩატარდა რეგიონალური კონფერენცია და კულტურის პირველი მინისტერიალი სოციალური და ეკონომიკური განვითარების კუთხით კულტურის სტრატეგიული როლის თემაზე (2012-2013 წლებში).

**თამარ გურჩიანი** - კულტურის მენეჯერი, კურატორი და პროდიუსერი, ამჟამად თბილისის თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთკავკასიური ფესტივალის დირექტორი, ევროპის სახლის კულტურული პროგრამების მენეჯერი, დამოუკიდებელი კურატორი, რამდენიმე კვლევის ავტორი და მონაწილე (საქართველოში კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების საქმიანობის კვლევა გერმანული ბოშის ფონდისათვის, გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და პროგრამების კვლევა გოეთეს ინსტიტუტისათვის).

**სოციოლოგიური კვლევა** (რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა, ჩალრმავებული ინტერვიუ) ჩაატარა ქვეკონტრაქტორმა ა(ა)იპ „ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციამ“, რომლის საქმიანობა მოიცავს სოციოლოგიურ კვლევებს.

კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი **მარიამ ცუცუქირიძე** - სოციოლოგი, ა(ა)იპ „ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის“, დირექტორის მადილე, ილიას უნივერსიტეტის მაგისტრანტი.

ინტეგრირებული კვლევა ჩატარდა მრგვალი მაგიდების, ფოკუსური ჯგუფების და ჩალრმავებული ინტერვიუების მეთოდით დედაქალაქსა და რეგიონებში, ასევე საერთაშორისო და ქართული დოკუმენტებისა და სამეცნიერო მასალის ანალიზის საფუძველზე.

გაიმართა 11 შეხვედრა - 5 თბილისში და 6 რეგიონებში, კერძოდ კი ქალაქებში: თელავი, ქუთაისი, ახალციხე, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი, და მოიცვა არასამთავრობო, სამთავრობო, კერძო სექტორისა და მედიის 100-ზე მეტი წარმომადგენელი.

კვლევის სამიზნე ჯგუფს შეადგენდნენ არტისტები, სახელოვნებო განათლებისა და კულტურის მენეჯერები, კულტურის ექსპერტები, კულტურის სფეროში მომუშავე სხვადასხვა უმცირესობათა და იძულებით გადაადგილებულ პირთა წარმომადგენლები, სახელოვნებო უმაღლესების სტუდენტები.

### **კვლევის განხორციელების ეტაპები**

კვლევის საწყის ეტაპზე განისაზღვრა კვლევის სტრუქტურა, რომლის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენდა:

- კონვენციის შესაბამისად თემების კლასიფიცირება მნიშვნელობისა და კატეგორიების მიხედვით;
- სექტორების სტატისტიკური და ტიპოლოგიური ანალიზი;
- სექტორების პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი;
- მდგრადი განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.



## I მოსამზადებელი ეტაპი. სექტორის იდენტიფიცირება:

- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ასევე მუნიციპალური კულტურის სამსახურების (თბილისი, თელავი, ახალციხე, ფოთი, ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი) და პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული მონაცემების ანალიზი, კლასიფიცირება;
- სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა;
- კითხვარის შემუშავება - არასტრუქტურირებული კითხვარი დახურული და ღია კითხვებით.

## II ეტაპი. მონაცემების დამუშავება და დამატებითი მონაცემების შეგროვება

### ა. რაოდენობრივი კვლევა

მიზანი - კონვენციის იმპლემენტაციაში ჩართული ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის დაზუსტება, მათი აქტუალური პრობლემების გამოკვეთა.

წინამდებარე გამოკითხვამდე კონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე კვლევის პრაქტიკის არარსებობის გამო გართულდა რესპონდენტთა შერჩევის ჩარჩოს განსაზღვრა.

გადაწყდა, კვლევაში აღწერილიყო ხელმისაწვდომი ფიზიკური პირები და ორგანიზაციები, რომელთა მისიები, მიზნები და აქტივობები კონვენციის მიზნებს შეესაბამებოდნენ და ამავდროულად კულტურის სხვადასვა სექტორს წარმოადგენდნენ.

ჩატარდა რესპონდენტებთან წინასწარი სატელეფონო კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავდა პოტენციური რესპონდენტის ვალიდურობის დადგენას.

### ბ. თვისობრივი კვლევა:

კვლევა ჩატარდა ინტერვიუს მეთოდით.

კვლევამ მოიცვა კულტურის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე. სულ გამოიკითხა 83 რესპონდენტი.

სიღრმისეული ინტერვიუს კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა არა-სტრუქტურირებული კითხვარი, ხოლო რესპონდენტებს - დარგის კომპეტენტური ექსპერტები. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ემსახურებოდა, ერთი მხრივ, საკითხის სიღრმისეულ შესწავლას და, მეორე მხრივ, კვლევის ინსტრუმენტის სრულყოფას.

## III ეტაპი - მონაცემების დამუშავება

მიღებული მონაცემების სტატისტიკური და კულტუროლოგიური ანალიზი განხორციელდა შემდეგ ეტაპებად:

- ღია კითხვების კოდირება;
- მონაცემების ფაილის მომზადება;
- მონაცემების ბაზაში შეყვანა;
- მონაცემთა ბაზის გაწმენდა;
- მონაცემთა ბაზის დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი;
- თვისობრივი კვლევის - ფოკუსურ ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარება;
- მონაცემების კულტუროლოგიური ანალიზი.  
განხორცილებული ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები კონვენციის იმპლემენტაციისთვის.

## კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა კონვენციასთან მიმართებით კულტურის პოლიტიკისა და ზოგადად, კულტურული პრაქტიკის პრობლემების შესწავლა, პროდუქციის მომსახურების პრაქტიკის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

### გამოიყო შემდეგი საკვლევი თემები:

- სუვერენიტეტის პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფო კულტურის პოლიტიკა-კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა, მკვიდრი ხალხის და უმცირესობათა წარმომადგენელთა კულტურის თანასწორი ღირსებისა და პატივისცემის აღიარება;
- კონვენციის იმპლემენტაციისათვის ხელშემწყობი გარემოს საკითხები; კანონმდებლობის, ინსტიტუციური განვითარების, სამოქალაქო ცნობიერებისა და აქტივობის ხარვეზები;
- ინტერკულტურული დიალოგის პრობლემები; ინტერკულტურული დიალოგი და მემკვიდრეობა;
- ურბანულ განვითარებისათვის კულტურული ასპექტების ეკონომიკური მნიშვნელობით გამოყენება და კრეატიული ინდუსტრიების განვითარება;
- ხელოვანთა თავისუფალი მიგრაცია-ხელოვანთა და კულტურული პროდუქტის თავისუფალი გადაადგილებისა და მიმოქცევის საკითხები;
- კულტურულ პროცესში თანაბარი მონაწილეობისა და შედეგით სარგებლობის უფლების განხორციელება;
- განათლების და მეცნიერების როლის გამოკვეთა კულტურული თვითგამოხატვის დაცვისა და ხელშეწყობის საქმეში;
- თავისუფალი ხელოვანის სატატუსის პრობლემები-სახელმწიფოს მიერ შემოქმედებითი მუშაკების და კულტურული თვითგამოხატვის საქმიანობაში ჩართული ადამიანების წახალისება და მხარდაჭერა;
- კულტურის პოლიტიკაში კონვენციის იმპლემენტაციის ასახვა-რეკომენდაციების სემუსავებისა და გამოყენების მეთოდოლოგია; სამოქმედო გეგმა;
- კულტურის მნიშვნელობა ზოგადად სოციალური ერთობისთვის და კერძოდ კი მისი პოტენციალის გამოყენება საზოგადოებაში ქალების სტატუსისა და როლის ამაღლებისათვის;
- ორ სამყაროს შორის ჩაკარგულ „ლტოლივითა“ თემის სუბკულტურის სპეციფიკა;
- ინკლუზია, სოციალური კოჰესია და კულტურული მრავალფეროვნება;
- ენის მნიშვნელობა და ენობრივი მრავალფეროვნების, როგორც კულტურული მრავალფეროვნების ძირითადი ელემენტი / საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გადაშენების პირას მყოფი უნიკალური ენების დაცვისა და განვითარების საკითხები/;
- კულტურის მიმართულებით მედიის მრავალფეროვნების გაფართოების ხელშეწყობა.
- კულტურის სფეროს განვითარების სავარაუდო მიმართულებები.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე. კერძოდ, ჩატარდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 120 ბენეფიციართან და უარყოფილ აპლი-კანტთან. მათი შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით (600 ერთე-ულიდან შეირჩა ყოველი მეხუთე). შერჩეული რესპონდენტების 50 %-თან ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები, 50 %-თან კი ელექტრონული გამოკითხვა.

თვისობრივი კვლევა განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუს და ფოკუსურ ჯგუფთან შეხვედრის მეთოდით.

➤ კვლევა ჩაღრმავებული ინტერვიუების მეთოდით.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. სულ გამოიკითხა 83 რესპონდენტი

➤ კვლევა ფოკუსური ჯგუფის მეთოდით.

ფოკუსური ჯგუფების მონაწილეთა შერჩევას გამოვდიოთ იმ მოსაზრებიდან, რომ მონაწილეები წარმოადგენენ კულტურის პროდუქტის შემქმნელებს და მიეკუთვნებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს.

ამავდროულად, ისინი იყოფიან ფიზიკურ და იურიდიულ პირებად. ფოკუსური ჯგუფები სწორედ ამ ორი ჯგუფის წარმომადგენლებით დაკომპლექტა დარგების მიხედვით.

ფოკუსური ჯგუფის მონაწილეები იყვნენ იმ სტრუქტურებისა თუ ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები, რომლებიც გარკვეულწილად განსაზღვრავენ კულტურის ამა თუ იმ სფეროს დღევანდელ მდგომარეობას და განვითარების პერსპექტივებს.

ფოკუსური ჯგუფები შედგებოდა 12-20 ადამიანისგან. ისინი აფასებდნენ კულტურული პრაქტიკისა და სახელმწიფო თუ მუნიციპალური კულტურის პოლიტიკის ძლიერ, სუსტ, დადებით და უარყოფით მხარეებს, უპირატესობებს, კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე ძირითად ფასეულობებს, მოსალოდნელ რისკებსა და შესაძლებლობებს, ქვეყნის, ქალაქის კულტურის განვითარების გზებსა და პერსპექტივებს, საკვლევი საკითხის სოციალურ რელევანტურობას.

უკლებლივ ყველა ფოკუსური ჯგუფის მონაწილეების მოსაზრებების გათვალისწინება უდავოდ მნიშვნელოვანია კვლევის ობიექტის სამომავლო განვითარებისა და სტრატეგიული ცვლილებების გატარებისათვის.

### **ფოკუსური ჯგუფის მეთოდით კვლევის სამიზნე ჯგუფი**

სულ ჩატარდა 11 ფოკუსური ჯგუფი.

მრგვალი მაგიდებისა და ფოკუსური ჯგუფების შემადგენლობა რეგიონების მიხედვით:

1. თბილისი - ხელოვნების და მკვლევარების შერეული ჯგუფი;
2. ბათუმი - ქალაქის მულტიკულტურული თემი; ხელოვანთა და მკვლევართა შერეული ჯგუფი;
3. ფოთი - ხელოვნების და მკვლევარების შერეული ჯგუფი;
4. ზუგდიდი - შერეული ჯგუფი, მათ შორის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა წარმომადგენლები /ომგადატანილი და ომის შემდეგ დაბადებული ქალები /;
5. ქუთაისი - ხელოვნების და მკვლევარების შერეული ჯგუფი;
6. ახალციხე - ქალაქის მულტიეთნიკური რუსულენოვანი თემი;
7. თელავი - კახეთის მულტიკულტურული თემი, ხელოვანთა და მკვლევართა შერეული ჯგუფი;
8. თბილისი - ხელოვნების, სახელოვნებო განათლებისა და კულტურის მენეჯერთა ჯგუფი;
9. თბილისი - თბილისური სუბკულტურების წარმომადგენელთა ჯგუფი;
10. თბილისი -სტუდენტები, ახალგაზრდა ხელოვანთა, მკვლევართა და მენეჯერთა ჯგუფი;
11. თბილისი- კულტურის ექსპერტების ჯგუფი;

მრგვალი მაგიდების ხანგრძლივობა 90 წუთს შეადგენდა, ხოლო ფოკუსური ჯგუფების ხანგრძლივობა საშუალოდ 120 წუთს შეადგენდა.

## **დანართი II**

### **გამოყენებული მასალა**

#### **რაპორტები:**

1. GEORGIA - COUNTRY PROFILE - Council of Europe/ERICarts, "Compendium of Cultural Policies and Trends in Europe, 14<sup>th</sup> edition", 2013. - Nino Gunia-Kuznetsova
2. Eastern Partnership Culture Programme . Regional Monitoring and Capacity Building Unit (RMCBU) EuropeAid Contract No 2010/255-219 - ANALYTICAL BASE-LINE REPORT ON THE CULTURE SECTOR AND CULTURAL POLICY OF GEORGIA -Studies and Diagnostics on Cultural Policies of the Eastern Partnership Countries. 2012.
3. Kyiv Initiative Regional Programme Pilot Project 2: "Rehabilitation of Cultural Heritage in Historic Towns" (PP2), 2010.
4. A TBILISI CITY CULTURAL STRATEGY: THE NEXT STEPS. Experts' Report by Charles Landry . Cultural Policy and Action Department Directorate General IV – Education, Culture and Heritage, Youth and Sport, 2003.
5. Bogouta, Gregor: Overview of Georgian Book Policy, Recommendations. Project STAGE, 2002.
6. Cultural Policy and Action Department, November 2003. Project STAGE Directorate General IV – Education, Culture and Heritage, Youth and Sport, 2003.
7. European Commission: Overview of Georgian Cultural Policy. Brussels: European Commission, 2002.
8. Georgian National Communication Commission: The 2004 Report. Tbilisi: Georgian National Communication Commission, 2004.
9. Gunia-Kuznetsova, Nino: On Urgent Measures for Implementation of Cultural Policy. Materials from Conference "Cultural Policy – Priorities and Strategy". Tbilisi: YTA Union, 2001.
10. Gunia-Kuznetsova, Nino; Shatirishvili, Zaza; Kipiani, Nana; Arabuli, Koba; Baliashvili, Marina; Gegenava, Theona: Tbilisi Culture and Tourism Concept. Tbilisi 2004. Tbilisi Municipality, Tbilisi City Municipality Service for Culture and Sport, Fund for Saving Culture.
11. Laboratory for Interdisciplinary Research and Art Development: Materials from conference Cultural Policy – New Art - Exhibitions – Debates – Documentation – Interactive. Tbilisi, 2003.
12. Ministry of Culture of Georgia: National Report 2001. Tbilisi: Ministry of Culture of Georgia, 2001.
13. Ministry of Culture, Monument Protection and Sport of Georgia: State Programmes. Tbilisi: Ministry of Culture, Protection of Monuments and Sports of Georgia, 2004.
14. National Report on Cultural Heritage Policies. 2003.
15. Periodic Report on the Application of the World Heritage Convention. 2004.
16. Project Strategic direction of management plan for historical part of Tbilisi. Tbilisi: National Committee of ICOMOS, 2003.
17. Blueprint Capacity-Building Strategy for Central, Eastern and South Eastern Europe, 2013.
18. Declaration of the Ministers and Heads of delegations, First Eastern Partnership Ministerial Conference on Culture 28 June 2013, Tbilisi, Georgia.
19. Implementation of the European Neighbourhood Policy in Georgia Progress in 2013 and recommendations for action, Accompanying the document, Joint Communication To The European Parliament, The Council, The European Economic And Social Committee And The Committee Of The Regions Neighbourhood at the Crossroads: Implementation of the European Neighbourhood Policy in 2013.
20. First State Report by Georgia Pursuant to article 25, Paragraph 1 of the European Framework Convention for the Protection of National Minorities. 2007.
21. THE BASELINE SURVEY IN THE FIELD OF ART AND CULTURE .GEORGIA. Maka Dvalishvili, Nino Gunia-Kuznetsova 2012.

#### **ადგილობრივი ორგანიზაციების კვლევები**

1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა, ICOMOS. თბილისი, 2014.
2. საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის საქმიანობის ანგარიში 2004-2012წწ. 2012.
3. ფონდ TRAM-ის პროექტის „Professional ID” ფარგლებში კულტურული კვლევები 2012-2013.

4. ქართულ ფილმებში პროდუქციის\ მომსახურების განთავსების პრაქტიკის კვლევა. მომზადებულია "ეისითის" მიერ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისთვის, 2010.
5. ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის პოლიტიკა: სტრატეგიული მიმოხილვა, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, 2009.
6. კინო ინდუსტრიაში არსებული ვითარების შესწავლა, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი 2009.

7. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა. 2012.
8. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2012
9. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები-სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, 2010-2011წწ.
10. სტუდენტი და კულტურული მემკვიდრეობა-ახალგაზრდული მოძრაობა დავითიანნი, 2012წ.

**სახელმწიფო უწყებათა სტრატეგიები და მიმართულებები**

1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2012.
2. საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის.
3. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-20 წლები -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. საქართველო, 2013.
4. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა-- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. საქართველო, 2013.
5. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 -2014 წლების პრიორიტეტები.
6. საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფცია, პროექტი. 2014
7. საქართველოს კულტურის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი. 2015.
8. სახელოვნებო განათლების სფეროს სისტემური საკანონმდებლო რეფორმის ზოგადი კონცეფცია-კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სახელოვნებო უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოწესრიგებაზე მომუშავე ჯგუფი.2013 წ.
9. გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის-საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2012 – 2014.
10. სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით- 2010.
11. ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა- 2010.
12. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია. 2010-2011.
13. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა, ICOMOS. თბილისი, 2014

**საკანონმდებლო აქტები**

- |  |       |
|--|-------|
| 1. საქართველოს კონსტიტუცია   | 1995  |
| 2. საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ                          | 1996. |
| საქართველოს კანონი კულტურის შესახებ  | 1997  |
| 3. კანონი სახელმწიფო ზედამხედველობა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე   | 1997  |
| 4. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ                            | 1997  |
| 5. საქართველოს კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ                    | 1998  |
| 6. საქართველოს კანონი შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ | 1999  |
| 7. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ              | 1999  |

8. საქართველოს კანონი ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ	2000
9. საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ	2001
10. საქართველოს კანონი კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ	2001
11. დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ	2002
12. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ	2004
13. საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ	2005
14. საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ	2005
15. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	2007
16. საქართველოს მთავრობის დადგენილება შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის ლაურეატებისათვის ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ	2006
17. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების დაწესების შესახებ	2008
18. საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ	2010
19. ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ	2011/ 2006
20. მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი	2011
21. საქართველოს კანონი პროფესიული თეატრების შესახებ	2013
22. საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ	2015
23. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ	1997
24. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ	1997
25. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ	1999
26. საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ	2004
27. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ	2004
28. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ	2005/2010
29. საქართველოს საგადასახადო კოდექსი	2010
30. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი	2010
31. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	2014

### სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტი

1. UNESCO Convention on the Protection and Promotion of the Diversity of Cultural Expressions, 2005. Hangzhou Declaration Placing Culture at the Heart of Sustainable Development Policies. UNESCO, 2013.
2. Creative economy, report 2013, UNESCO, UNDP
3. Framework for Cultural Statistics Handbook. 2009
4. The Creative Economy 2008.
5. The Impact of Culture on Creativity, KEA, Study prepared for the European Commission (Directorate-General for Education and Culture), Brussels, June 2009
6. The entrepreneurial dimension of the cultural and creative industries, Utrecht School of Arts K2M ltd, Eurokleis S.r.L, For the Education & Culture DG of the EC, November 2011.
7. A new cultural policy agenda for development and mutual understanding, Published in 2011 by UNESCO / <http://unesdoc.unesco.org/images/0021/002147/214747e.pdf/>

8. Programmes and Schemes to Support the Mobility of Artists and Cultural Professionals/ Final Report - An ERICarts Institute Study for the European Commission (DG Education and Culture) October 2008/; Statute of an Artists, 2013 .Pavol Kral/Working material for general International debate/.
9. Road Map for Arts Education /The World Conference on Arts Education: Building Creative Capacities for the 21st Century , Lisbon, 6-9. 03. 2006.
10. Working document of the World Conference on Arts Education, <http://www.unesco.org/culture/lea>
11. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება, ვილნიუსი 2013.
12. აღმოსავლეთ პარტნიორობა, პლატფორმა 4 „ხალხთაშორის კონტაქტი“, ძირითადი მიზნები და სამუშაო პროგრამა 2014-2017.
13. ევროპის პარლამენტის რეზოლუცია ევროპის კულტურული და შემოქმედებითი სექტორის წახალისება ეკონომიკური განვითარებისა და სამუშაოს შექმნისათვის - „ კულტურა და მდგრადი განვითარება“ , 2013.
14. ევროსაბჭოს კვლევა „კულტურის ეკონომიკა ევროპაში“ (2006).
15. ევროპული კონფერენცია „კულტურული მემკვიდრეობა და ევრო კავშირი - 2020 სტრატეგია - ინტეგრირებული მიდგომისაკენ“ ვილნიუსი, ლიტვა.
16. მეხიკოს დეკლარაცია კულტურული პოლიტიკის შესახებ; მსოფლიო კონფერენცია კულტურული პოლიტიკის შესახებ: საბოლოო ანგარიში, 1982.
17. საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის პრინციპების დეკლარაცია, იუნესკოს გენერალურ კონფერენცია; 1966.